პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 33-ე წელი

№ 258 (9418)

ხუთშაბათი 30 ოქტომბერი 1952 წ.

ფასი 20 კაპ.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, ლენინ-სტალინის დიად პარტიას, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან.

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი

## დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავისათვის

1. გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავს!

2. გაუმარჯოს ხალხთა შორის მშვიდობას! ძირს ომის გამჩაღებლები!

3. ძმური სალამი ყველა ხალხს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალისტ აგრესორთა და ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის!

4. ძმური სალამი კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალისტ დამმონებელთა წინააღმდეგ, თავიანთი თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის!

5. ძმური სალამი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს, რომლებიც წარმატებით აშენებენ სოციალიზმს!

გაუმარჯოს და განმტკიცდეს სახალხო-დემოკრატიული ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობა და თანამშრომლობა!

6. ძმური სალამი დიდ ჩინელ ხალხს, რომელმაც ახალ წარმატებებს მიაღწია ჩინეთის ძლიერი სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში!

განმტკიცდეს და აყვავდეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის დიადი მეგობრობა — შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების მტკიცე ბურჯი!

7. ძმური სალამი გმირ კორეელ ხალხს, რომელიც მამაცურად იცავს თავისი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში!

8. სალამი გერმანელ ხალხს, რომელიც იბრძვის ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის, საზავო ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე დადებისათვის გერმანელი ხალხისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის ინტერესების შესაბამისად!

9. სალამი მოძმე კომუნისტურ პარტიებს, რომლებიც სათავეში უდგანან კაპიტალისტური, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხების ბრძოლას მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის!

10. სალამი იუგოსლავიის პატრიოტებს, რომლებიც იბრძვიან ტიტო-რანკოვიჩის ხროვის ფაშისტური უღლისაგან და იმპერიალისტური მონობისაგან თავიანთი ქვეყნის განთავისუფლებისათვის!

11. სალამი იაპონელ ხალხს, რომელიც მამაცურად იბრძვის უცხოელთა ოკუპაციის წინააღმდეგ, ეროვნული აღორძინებისათვის, თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობის შენარჩუნებისათვის!

12. გაუმარჯოს ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას მათს ბრძოლაში ომის თავიდან აცილებისათვის და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის!

13. ყველა ქვეყნის მშრომელნო! მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას! განამტკიცეთ ხალხთა ერთიანობა მშვიდობისათვის ბრძოლაში, ამრავლეთ და შეამჭიდროვეთ მშვიდობის მომხრეთა რიგები!

14. მშვიდობის მომხრენო მთელ მსოფლიოში! ამხილეთ და ჩაფუშეთ იმპერიალისტ აგრესორთა დანაშაულებრივი გეგმები, საშუალებას ნუ მისცემთ ომის გამჩაღებლებს სიცრუის ქსელში გახვიონ ხალხთა მასები და ახალ მსოფლიო ომში ჩაითრიონ ისინი!

15. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას — მშვიდობისა და უშიშროების, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ყველა ქვეყანასთან საქმიანი ურთიერთობის განვითარების პოლიტიკას!

16. დიდება საბჭოთა არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს, რომლებიც დგანან ჩვენი სამშობლოს მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე!

17. საბჭოთა მეომრებო! გულმოდგინედ აიმაღლეთ სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა, აუმჯობესეთ თქვენი საბრძოლო ოსტატობა! დაუცხრომლად განამტკიცეთ სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერება!

18. გაუმარჯოს საბჭოთა მესაზღვრეებს — ჩვენი სამშობლოს წმიდა საზღვრების ფხიზელ გუშაგებს!

19. საბჭოთა კავშირის მუშებო, გლეხებო, ინტელიგენციავ! წარმატებით შევასრულოთ ისტორიული ამოცანები, რომლებიც კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ დასახა! მოვიპოვოთ ახალი გამარჯვებანი კომუნიზმის მშენებლობაში!

20. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! გააჩაღეთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება მეხუთე ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის! იბრძოლეთ სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის დონის ამაღლებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის!

21. საბჭოთა კავშირის მუშებო, გლეხებო, ინტელიგენციავ! უფრო გაბედულად დანერგეთ მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში! იბრძოლეთ შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდისათვის!

22. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! გამოავლინეთ და ფართოდ გამოიყენეთ წარმოების რეზერვები, განუხრელად დაიცავით მომჭირნეობის რეჟიმი სამეურნეო მშენებლობის ყველა უბანზე! დაზოგეთ ნედლეული, სათბობი, მასალები, ელექტროენერგია! შეამცირეთ პროდუქციის თვითღირებულება!

23. მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო, საწარმოთა ხელმძღვანელებო! დღითიდღე კვლავ აუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი, უზრუნველყავით ჩვენი მრეწველობა და მოსახლეობა საუკეთესო ხარისხის მოწყობილობით, მასალებითა და საქონლით!

24. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! დიად მშენებლობათა — ჰიდროელექტროსადგურების, არხებისა და სარწყავი სისტემების — წარმატებითი განხორციელებით ახალი წვლილი შევიტანოთ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში!

25. ქვანახშირის მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! აუმჯობესეთ ქვანახშირის საბადოების დამუშავების მეთოდები, ყველა ღონისძიებით განავითარეთ და სრულყავით ქვანახშირის ამოღების მექანიზაცია! უფრო სწრაფად და უკეთ აშენეთ ახალი შახტები! მივცეთ სახალხო მეურნეობას მაღალი ხარისხის მეტი ქვანახშირი!

26. ნავთის მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! იბრძოლეთ ნავთის მოპოვების განვითარებისა და გადამუშავების მაღალი ტემპისათვის! უფრო სწრაფად აითვისეთ ნავთის ახალი საბადოები და აშენეთ ნავთგადამმუშავებელი ქარხნები! გაადიდეთ მაღალი ხარისხის ნავთპროდუქტების წარმოება!

27. ელექტროსადგურებისა და ელექტროქსელების მუშაკებო! უფრო სწრაფად ჩააყენეთ მწყობრში ახალი ენერგეტიკული სიმძლავრენი! უფრო ფართოდ დანერგეთ მოწინავე ტექნიკა! შეუფერხებლად უზრუნველყავით ელექტროენერგიით სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილება!

28. საბჭოთა მეტალურგებო! აუმჯობესეთ მეტალურგიული და სამთამადნო საწარმოების სიმძლავრეთა გამოყენება, განავითარეთ საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია! უფრო ფართოდ დანერგეთ შრომის მოწინავე მეთოდები! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, ფერადი ლითონები!

29. მანქანათმშენებლობის საწარმოთა მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! უფრო სწრაფად აითვისეთ და გაადიდეთ ახალი სრულყოფილი მანქანების, ხელსაწყოებისა და მოწყობილობის წარმოება! უზრუნველვყოთ მანქანათმშენებლობის — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი ტექნიკური პროგრესის საფუძვლის — განვითარების მაღალი ტემპი!

30. საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! უფრო ფართოდ დანერგეთ წარმოებაში ახალი ტექნიკა, აუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი ავტომობილი და ტრაქტორი!

31. გემთმშენებელი მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! აუმჯობესეთ გემთმშენებლობის ტექნიკა და ხარისხი! უფრო სწრაფად აშენეთ ახალი ხომალდები! შევქმნათ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერი ფლოტი!

32. ქიმიის მრეწველობის მუშაკებო! აუმჯობესეთ წარმოების ტექნოლოგია, აფართოეთ ქიმიური პროდუქტების ასორტიმენტი და აუმჯობესეთ მათი ხარისხი! მეტი მინერალური სასუქები და სხვა ქიმიური პროდუქტები სახალხო მეურნეობისათვის!

33. მშენებელო მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! უფრო ფართოდ დანერგეთ მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდები, უკეთ გამოიყენეთ მექანიზმები! შეამცირეთ მშენებლობის ღირებულება და აუმჯობესეთ მისი ხარისხი! უფრო სწრაფად აშენეთ საწარმოები, ბინები, სკოლები და სამკურნალო დაწესებულებანი!

34. საშენ მასალათა მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! ყველა ღონისძიებით გაადიდეთ საშენ მასალათა წარმოება და გააუმჯობესეთ მათი ხარისხი! უფრო სწრაფად განავითარეთ ახალ სახეობათა საშენი მასალების მასობრივი წარმოება, მთლიანად გამოიყენეთ ტექნიკა!

35. სატყეო მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! განავითარეთ ხე-ტყის დამზადების კომპლექსური მექანიზაცია, აუმჯობესეთ წარმოების ორგანიზაცია და მექანიზმების გამოყენება! დაუცხრომლად ზარდეთ შრომის ნაყოფიერება! მეტი ხე-ტყის მასალა სახალხო მეურნეობას!

36. ქაღალდისა და ხის გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ ქაღალდის, ავეჯის, ფანერის, ჰიდროლიზური და სატყეო-ქიმიური მრეწველობის პროდუქციის წარმოება! აუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი!

37. მსუბუქი მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! იბრძოლეთ მასობრივი მოხმარების საგნების, წარმოების ზრდის მაღალი ტემპისათვის! აფართოეთ პროდუქციის ასორტიმენტი, აუმჯობესეთ მისი ხარისხი, დაზოგეთ ნედლეული და შეამცირეთ პროდუქციის თვითღირებულება! მეტი ქსოვილი, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, ტრიკოტაჟი და სხვა საქონელი მოსახლეობისათვის!

38. კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ სასურსათო საქონლის წარმოება, უზრუნველყავით მისი საუკეთესო ხარისხი და ფართო ასორტიმენტი! მეტი შაქარი, ცხიმეული, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტები მოსახლეობისათვის!

39. თევზის მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ თევზის ჭერა, განავითარეთ მეთევზეობა, გააუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი! უკეთ გამოიყენეთ სარეწაო ფლოტი და თევზსაჭერი იარაღი!

40. ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის მუშაკებო! გამოუშვით ფართო მოხმარების მეტი საქონელი, გაადიდეთ ადგილობრივ საშენ მასალათა წარმოება! გააუმჯობესეთ ნაწარმის ხარისხი და შეამცირეთ მისი თვითღირებულება! უკეთ მოემსახურეთ მშრომელთა საყოფაცხოვრებო საჭიროებას!

41. საბჭოთა გეოლოგებო! განავითარეთ მუშაობა ბუნებრივ სიმდიდრეთა საძიებლად, სრულყავით გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა ტექნიკა! უფრო სწრაფად გამოავლინეთ ჩვენი სამშობლოს წიაღის დაუშრეტელი სიმდიდრე!

42. საბჭოთა რკინიგზელებო! იბრძოლეთ რკინიგზების გამტარუნარიანობის გადიდებისათვის! გაადიდეთ ტვირთბრუნვა და შეამცირეთ ტვირთზიდვის თვითღირებულება! ყველა ღონისძიებით აუმჯობესეთ მოძრავი შემადგენლობის გამოყენება! უკეთ მოიმსახურეთ მგზავრებს! უზრუნველყავით ტრანსპორტის შეუფერხებელი მუშაობა ზამთრის პირობებში!

43. საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკებო! უფრო სწრაფად ზიდეთ სახალხო მეურნეობის ტვირთი! გაადიდეთ ტვირთზიდვის მოცულობა, დააჩქარეთ გემების ბრუნვა, აუმჯობესეთ ნავსადგურებისა და გემთშემკეთებელი ქარხნების მუშაობა! ხანიმუშოდ ემზადეთ 1953 წლის ნავიგაციისათვის!

44. კავშირგაბმულობის მუშაკებო! განავითარეთ და აუმჯობესეთ კავშირგაბმულობის საშუალებანი! გააუმჯობესეთ ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონის, რადიოს მუშაობის ხარისხი! აუმჯობესეთ მოსახლეობის მომსახურება!

45. სოფლის მეურნეობის მშრომელებო! დაუცხრომლად იბრძოლეთ სოფლის მეურნეობის დარგში მთავარი ამოცანის შესრულებისათვის — ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდებისათვის, პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის შემდგომი გამრავლებისა და ამავე დროს მისი პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ზრდისათვის! შევქმნათ მოსახლეობისათვის სურსათისა და მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვე!

46. კოლმეურნეებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! ყველა ღონისძიებით გაადიდეთ მარცვლეულის, ბამბის, შაქრის ჭარხლის, ზეთოვანი, საკვები და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება!

47. კოლმეურნეებო, საბჭოთა მეურნეობების მუშებო, ზოოტექნიკოსებო და ვეტერინარო მუშაკებო! ყველა ღონისძიებით განავითარეთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა! უზრუნველვყოთ პირუტყვის სანიმუშო მოვლა-შენახვა ზამთრის პირობებში! მეტი ხორცი, რძე, მატყლი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები!

48. სოფლის მეურნეობის მუშაკებო! უფრო ფართოდ დანერგეთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში სოფლის მეურნეობის მეცნიერების და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მოწინავეთა გამოცდილების მიღწევები! გულმოდგინედ დაეუფლეთ აგრონომიისა და ზოოტექნიკის ცოდნას!

49. კოლმეურნეებო! იბრძოლეთ საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განმტკიცებისა და ყოველმხრივი განვითარებისათვის, კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლის გადიდებისათვის! განამტკიცეთ შრომის დისციპლინა! წმიდად დაიცავით სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება — საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი კანონი!

50. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკებო! გააფართოეთ შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგში, უკეთ გამოიყენეთ ტექნიკა! დროზე და კეთილხარისხოვნად შეაკეთეთ ტრაქტორები, კომბაინები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები!

51. კოლმეურნეებო, ბამბის მთესველი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკებო, მებამბეობის სპეციალისტებო! იბრძოლეთ ბამბის მოსავლის რაც შეიძლება მალე აღებისა და დამზადების გეგმის შესრულებისათვის! მივცეთ ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს მეტი ბამბა!

52. სოფლის, სატყეო და წყალთა მეურნეობის მუშაკებო! ყველა ღონისძიებით გააფართოეთ მინდორსაცავი ტყის ნარგავები და გააუმჯობესეთ მათი მოვლა! განავითარეთ მიწების რწყვისა და ამოშრობის სამუშაოები, გააუმჯობესეთ ახალი მიწების გამოყენება! რაც შეიძლება მალე დაამთავრეთ მორწყვის ახალი სისტემის შემოღება! შექმენით უხვი და მყარი მოსავლის მიღების მტკიცე საფუძველი!

53. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მუშაკებო! განავითარეთ სასურსათო და სამრეწველო საქონლის ვაჭრობა ქალაქად და სოფლად, გააფართოეთ მაღაზიების და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი! გააუმჯობესეთ საბჭოთა მომხმარებლის მომსახურება!

54. სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეებო! გააუმჯობესეთ საბჭოთა აპარატის მუშაობა, განამტკიცეთ სახელმწიფო დისციპლინა, გულისხმიერად მოეპყარით მშრომელთა მოთხოვნილებებს!

55. სამეცნიერო დაწესებულებათა და უმაღლესი სკოლის მუშაკებო! ყველა ღონისძიებით განავითარეთ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა! უფრო გაბედულად გააჩაღეთ შემოქმედებითი კრიტიკა და თვითკრიტიკა სამეცნიერო მუშაობაში! განამტკიცეთ მეცნიერების კავშირი წარმოებასთან, გააუმჯობესეთ და გააფართოეთ სპეციალისტების მომზადება სახალხო მეურნეობისა და კულტურისათვის!

56. ლიტერატურის, ხელოვნებისა და კინემატოგრაფიის მუშაკებო! დაუცხრომლად ამაღლეთ თქვენი შემოქმედების იდეური და მხატვრული დონე! შექმენით ჩვენი დიდი ხალხის შესაფერი ნაწარმოებნი!

57. მასწავლებლებო, სახალხო განათლების მუშაკებო! ამაღლეთ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი სკოლაში, შეაიარაღეთ მოსწავლენი მეცნიერების საფუძვლების ცოდნით! აღზარდეთ სოციალისტური საზოგადოების კულტურული, განათლებული მოქალაქენი, კომუნიზმის აქტიური მშენებელნი!

58. მედიცინის მუშაკებო! გააუმჯობესეთ და განავითარეთ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმე, აამაღლეთ სამკურნალო და სანიტარულ დაწესებულებათა მუშაობის კულტურა! დანერგეთ პრაქტიკაში მედიცინის მეცნიერების მიღწევები!

59. საბჭოთა პროფკავშირებო! უფრო ფართოდ გააჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება მეხუთე ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის! გაავრცელეთ წარმოების ნოვატორთა გამოცდილება! დაუცხრომლად იზრუნეთ მუშებისა და მოსამსახურეების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის!

გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს — კომუნიზმის სკოლას!

60. საბჭოთა ქალებო! იბრძოლეთ ჩვენი დიადი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის!

გაუმარჯოს საბჭოთა ქალებს — კომუნიზმის აქტიურ მშენებლებს!

61. გაუმარჯოს ლენინურ-სტალინურ კომკავშირს — კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწინავე რაზმს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აქტიურ თანაშემწესა და რეზერვს!

62. საბჭოთა ჭაბუკებო და ქალიშვილებო! დაეუფლეთ მეცნიერებას, ტექნიკასა და კულტურას! იყავით მტკიცე და გაბედულნი, მზად იყავით ყოველგვარი სიძნელის გადასალახავად! თქვენი შრომით ამრავლეთ საბჭოთა ხალხის წარმატებანი კომუნიზმის მშენებლობაში!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან საბჭოთა ახალგაზრდობას!

63. პიონერებო და მოსწავლეებო! გულმოდგინედ და მტკიცედ დაეუფლეთ ცოდნას! იბრძოლეთ წარმატებებისათვის სწავლაში, შრომასა და საზოგადოებრივ მუშაობაში! ემზადეთ იმისათვის, რომ გახდეთ ერთგული ლენინელები, ჩვენი დიადი სამშობლოს ერთგული შვილები!

64. კომუნისტებო და კომკავშირელებო! იყავით მეხუთე ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, სსრ კავშირში კომუნიზმის აშენებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში!

65. გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიდ კავშირს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და დიდების ბურჯს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის ურყევ დასაყრდენს!

66. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, ლენინ-სტალინის დიად პარტიას, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

67. ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უზრუნველვყოთ საქართველო საკუთარი პურით!

## წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეთა, მექანიზატორთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მიმართვა საქართველოს ყველა კოლმეურნეს, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებსა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს

ძვირფასო ამხანაგებო! ღირსშესანიშნავ, სასიხარულო დღეებს განიცდის ჩვენი ქვეყანა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებმა, ი. ბ. სტალინის სიტყვამ, რომლებიც კომუნიზმის მშენებლობის დიდებულ პერსპექტივებს გვისახავენ, დიდად აღგვაფრთოვანა, შთაგვინერგა მგზნებარე მისწრაფება ვიმუშაოთ უფრო კარგად საბჭოთა სამშობლოს სასახელოდ.

მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ, საყვარელმა სტალინმა მიგვითითეს გზა, რომლითაც უნდა ვიაროთ წინ, კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ. ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, დიდი სტალინის ყოველი სიტყვა გამსჭვალულია უდიდესი მზრუნველობით ჩვენი საყვარელი სამშობლოს შემდგომი განვითარებისა და აყვავებისათვის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

ვკითხულობთ და ღრმად ვსწავლობთ რა ყრილობის მასალებს, ჩვენ კვლავ და კვლავ ვიმსჭვალებით ჩვენი სოციალისტური სამშობლოსათვის სიამაყის გრძნობით, მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, ჩვენი ბელადის დიდი სტალინისადმი სიყვარულითა და ერთგულებით, იმის სურვილით, რომ კონკრეტული საქმეებით ვუპასუხოთ უდიდეს მზრუნველობას მშრომელთათვის.

მეხუთე სტალინურ ხუთწლედში ახალი დიდი და პასუხსაგები ამოცანები დგას საქართველოს სახალხო მეურნეობის წინაშე, და, კერძოდ, მისი მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის წინაშე. ეს ამოცანები ასახულია მოსავლიანობის ამაღლების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფართობების გადიდების, პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის ზრდისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების კონკრეტულ ციფრებში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ამხანაგ სტალინის ყოველდღიური დახმარებისა და მზრუნველობის მეოხებით, სახე უცვალეს საქართველოს სოფელს. ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ საქართველოს კომუნისტებმა, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელმა, ამხანაგ ლ. პ. ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით წარმატებით გადაჭრეს ჩაისა და ციტრუსების პრობლემები.

ახლა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის წინაშე, საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის წინაშე დასახულია ამოცანა — გაადიდონ ხორბლის წარმოება იმ ვარაუდით, რომ 1957 წლისათვის მთლიანად დააკმაყოფილონ რესპუბლიკის მოთხოვნილება საკუთარი წარმოების მარცვლეულით. საკავშირო მთავრობის, ამხანაგ სტალინის ამ ისტორიული დავალების შესრულება თვითეული კომუნისტის, საქართველოს სოფლის მეურნეობის თვითეული მშრომელის ღირსების საქმეა.

მარცვლეულის პრობლემის გადაჭრა ჩვენს საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს. ამას წინათ შემდგარმა საქართველოს კომპარტიის XV ყრილობამ მარცვლეულის პრობლემას განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაუთმო. საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. ი. მგელაძემ თავის მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის წინაშე, საქართველოს წინაშე ახლანდელ ეტაპზე მდგომი სოფლის მეურნეობის ყველა პრობლემიდან ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია მარცვლეულის პრობლემა.

ცნობილია, რომ 1952 წლამდე საქართველოში მარცვლეულის მეურნეობის განვითარების საკითხებს ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ჩვენ გვახსოვს, რომ მარცვლეულის პრობლემის გადაჭრის ძირითადი სამუშაოები 1953-1957 წლებზე მოდის.

ჩვენ მთლიანად უნდა შევიგნოთ ამ ამოცანის დიდი მნიშვნელობა. 5 წლის განმავლობაში ხორბლის ნათესების ფართობი და ყანების მოსავლიანობა თითქმის ერთიორად უნდა გადიდდეს. კარგად გვესმის აგრეთვე ის პასუხისმგებლობა, რაც ახლა გვეკისრება ჩვენ — რესპუბლიკაში მარცვლეულის უდიდესი რაიონის კოლმეურნეებს, მექანიზატორებს, სპეციალისტებს, სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს. ძალებისა და ენერგიის დაუზოგავად ვშრომობთ იმისათვის, რომ ჯეროვანი წვლილი შევიტანოთ მარცვლეულის მეურნეობის განვითარების საქმეში. ჩვენი რაიონის კოლმეურნეობები წლითიწლობით აფართოებენ ხორბლის ნათესებს, ზრდიან მის მოსავლიანობას.

უხვი მოსავალი შესაძლებლობას გვაძლევს შრომადღეებზე გავანაწილოთ ბევრი მარცვლეული. სასოფლო-სამეურნეო წელიწადი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, ჩვენმა კოლმეურნეობებმა კი საშუალოდ შრომადღეზე უკვე გასცეს ავანსად 8-10 კილოგრამი ხორბალი. ბევრმა ოჯახმა ათ-ათი ტონა ხორბალი მიიღო. მაგალითად, კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრის მარიამ ბუჩუკურის ოჯახმა ავანსად მიიღო 14 ტონა ხორბალი, სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრის ვასილ მკერვალიძის ოჯახმა — 11 ტონა, შირაქის მტს-ის ტრაქტორისტმა მიხეილ ბუქურმა — 16 ტონაზე მეტი.

ხორბალი რაიონში წამყვან კულტურად ითვლება. მაგრამ ჩვენში ფართოდ ვითარდება სოფლის მეურნეობის სხვა დარგებიც.

წელს ყურძნის საშუალო მოსავლიანობამ 11 ცენტნერით გადააჭარბა გეგმით გათვალისწინებულს, მზესუმზირის მოსავლიანობამ — 1,5 ცენტნერით.

იმ დღეებში, როცა მოსკოვში პარტიის ისტორიული XIX ყრილობა მიმდინარეობდა, ჩვენი რაიონის მინდვრებში კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ წარმატებით ჩავატაროთ 1953 წელს უხვი მოსავლის მიღებისათვის ბრძოლის პირველი და უმნიშვნელოვანესი ეტაპი — საშემოდგომო თესვა. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს წელს შემოდგომაზე დავთესოთ გასული წლის საშემოდგომო ნათესზე 8.000 ჰექტარით და მიმდინარე წლის გეგმით გათვალისწინებულზე 2.000 ჰექტარით მეტი ფართობი.

მაგრამ იმ ახალი მიწების ასეთი მატება, რომელთა ათვისება რაიონში წარმოებს ხორბლის დასათესად, ჩვენ საკმარისად არ მიგვაჩნია, მით უმეტეს, რომ 1957 წლის დამლევისათვის ჩვენს რაიონში ხორბალს უნდა ეკავოს 74.500 ჰექტარი. ეს თითქმის ერთისამად მეტია 1950 წლის საშემოდგომო ნათესზე.

ვისწრაფვით რა კონკრეტული საქმეებით ვუპასუხოთ ყრილობის გადაწყვეტილებებზე, ამხანაგ სტალინის სიტყვაზე, გადავწყვიტეთ მარცვლეულის მეურნეობის განვითარების დავალება ჩვენს რაიონში შევასრულოთ ვადამდე, მეხუთე სტალინური ხუთწლედის ბოლოსათვის, ნაცვლად გათვალისწინებული ვადისა—1957 წლისა.

ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ ვკისრულობთ დიდ, პასუხსაგებ ვალდებულებას — ავითვისოთ ახალი მიწები და მკვეთრად გავადიდოთ მოსავლიანობა. ნებისყოფა, მისწრაფება ადამიანებისა, რომლებსაც აღაფრთოვანებს სურვილი — გაახარონ სამშობლო ახალი წარმატებებით, სანიმუშოდ შეასრულონ ამხანაგ სტალინის დავალება, დაგვეხმარება დასახული მიზნის წარმატებით განხორციელებაში. ჩვენ ავამოძრავებთ საკოლმეურნეო წარმოების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მთელ რეზერვებს, რათა ღირსეული წვლილი შევიტანოთ ჩვენს რესპუბლიკაში დიდი მარცვლეულის მეურნეობის შექმნის საქმეში.

მიწათმოქმედების მექანიზაციის დონის შემდგომი ამაღლება, სოფლის მეურნეობაში აგრონომიული კულტურის ფართოდ დანერგვა, უხვი მოსავლის ოსტატთა გამოცდილების გამოყენება — აი ის პირობები, რომლებიც დაგვეხმარება გამარჯვების მოპოვებაში. ეს პირობები ჩვენ გვაქვს.

ჩვენი რაიონის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს — წითლის, შირაქის, გამარჯვების, ქედის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა აქვთ, რომელიც რაიონის კოლმეურნეობებს შესაძლებლობას აძლევს მექანიზებული წესით ჩაატარონ არა მარტო ხვნა-თესვა და თავთავიანი კულტურების აღება, არამედ მანქანებით შეასრულონ მოსავლის აღების შემდგომი სამუშაოები — მარცვლის გაწმენდა, გაშრობა, აწონა, გადაზიდვა. ვალდებულებას ვკისრულობთ უახლოეს ორ წელიწადში მარცვლეულის მეურნეობაში მთლიანად დავნერგოთ კომპლექსური მექანიზაცია.

ამხანაგმა გ. მ. მალენკოვმა თავის მოხსენებაში პარტიის XIX ყრილობაზე მთელი სიმწვავით დააყენა საკითხი მომჭირნეობის უსასტიკესი რეჟიმისათვის ბრძოლის საჭიროების შესახებ. უყაირათობა მუშაობაში, მანქანა-ტრაქტორთა პარკის არასათანადოდ მოვლა ჩვეულებრივ იწვევს მანქანების რემონტისათვის საჭირო სახსრების, საწვავ-საცხები მასალების გადახარჯვას. რასაც მოსდევს სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულების გადიდება. ჩვენ ვიანგარიშეთ ჩვენი რესურსები და შესაძლებლად მივიჩნიეთ არა მარტო მთლიანად აღმოვფხვრათ გადახარჯვა, არამედ ყოველწლიურად ჩვენს ოთხივე მანქანა-ტრაქტორთა სადგურში ტრაქტორების რემონტისათვის საჭირო სახსრებიდან დავზოგოთ 120.000 მანეთი, აგრეთვე 165 ტონა საწვავ-საცხები მასალა.

პარტიის XIX ყრილობის დირექტივებით დასახული მოსავლიანობის მიღწევა შეუძლებელია, თუ ზუსტად არ იქნა გატარებული აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი. დღემდე ჩვენში საჭირო ყურადღება არ ექცეოდა ადრეულ საანეულო ხვნას, უხეშად ირღვეოდა ანეულის ხვნისა და კულტივაციის ვადები, სათანადოდ არ ვაფასებდით მინერალური სასუქების მნიშვნელობას, ხოლო ჯვარედინი თესვა, ნათესების ფარცხვა და დამატებითი კვება მთელ ფართობზე არ წარმოებდა.

ჩვენ გვსურს ჯეროვნად, სტალინურად შევასრულოთ მოსავლიანობის მკვეთრი გადიდების ამოცანა, და ერთხელ და სამუდამოდ მოვუღოთ ბოლო აგროტექნიკისაგან გადახვევებს. საჭიროა გამოვიყენოთ მიწის დამუშავებისა და ნათესების მოვლის ახალი მოწინავე პროგრესული მეთოდები არა ცალკეულ ნაკვეთებზე, არამედ მთელ ფართობზე, — უამისოდ არ შეიძლება კარგი მოსავლის იმედი ვიქონიოთ.

აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის გამოყენება მეტად ხელსაყრელია. მაგალითებისათვის შორს წასვლა საჭირო არ არის. სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადამ, რომელსაც გიორგი ბუჩუკური ხელმძღვანელობს, აგროტექნიკის ზუსტად დაცვისა და თესვის პროგრესული მეთოდების გამოყენების შედეგად 128 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 32 ცენტნერი საშემოდგომო ხორბალი აიღო. ამავე კოლმეურნეობის ალექსი სეთურის ბრიგადამ 138 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 28 ცენტნერი ხორბალი.

უკვე მიმდინარე შემოდგომაზე ჩვენ საშემოდგომო ნათესის მეტ ნაწილზე ვიყენებთ ჯვარედინ და ვიწრო მწკრივებად თესვას; პურეულის ნათესებში დიდი რაოდენობით შეტანილია მინერალური სასუქები. მომავალი წლიდან მივაღწევთ იმას, რომ ამ ღონისძიებებს განვახორციელებთ ხორბლის ყველა ნათესში.

ჩვენ მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს ყოველ კოლმეურნეობაში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურში, საბჭოთა მეურნეობაში, ბრიგადასა და აგრეგატში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლის უზრუნველყოფა, სოციალისტური შეჯიბრების გაშლება როგორც კოლმეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს შორის, ისე ცალკეულ მემინდვრეებსა და მექანიზატორებს შორის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XV ყრილობის გადაწყვეტილებებით შეიარაღებულნი, ჩვენ ყველა ღონისძიებას მივიღებთ იმისათვის, რომ ყველგან და ყოველთვის გაცხოველებით მიმდინარეობდეს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ, წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობის მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, რომლებსაც გვამოქმედებს სურვილი კონკრეტული საქმეებით ვუპასუხოთ პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს, ჩვენი ბელადის ამხანაგ სტალინის ისტორიულ სიტყვას, მოგიწოდებთ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება მარცვლეულის პრობლემის სანიმუშოდ გადაჭრისათვის. სოციალისტური შეჯიბრება დაგვეხმარება წამოვწიოთ ჩამორჩენილი უბნები მოწინავეთა დონემდე, მუშაობაში გავუტოლდეთ საუკეთესოებს, გავავრცელოთ დადებითი მაგალითი.

ვალდებულებას ვკისრულობთ რა ვადაზე ადრე შევასრულოთ ხორბლისათვის ახალი მიწების ათვისებისა და მოსავლიანობის გადიდების გეგმა, 1953 წელს საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 21 ცენტნერი ხორბალი, მოვუწოდებთ საქართველოს ყველა კოლმეურნეს, მექანიზატორებს, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებსა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს მიბაძონ ჩვენს მაგალითს და მოაწყონ მეხუთე ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება, უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღონ იმისათვის ბრძოლაში, რომ ვადაზე ადრე შესრულდეს ამხანაგ სტალინის დავალება საკუთარი პურით საქართველოს უზრუნველყოფის შესახებ.

ამ მოწოდებით მივმართავთ არა მარტო თბილისის ოლქის კოლმეურნეებს, ოლქისა, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის ბეღელს წარმოადგენს, არამედ აგრეთვე ქუთაისის ოლქის, აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. ჩვენ მივმართავთ სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეობებს, რომლებსაც აგრეთვე შეუძლიათ თავიანთი წვლილი შეიტანონ მარცვლეულის პრობლემის გადაჭრის საქმეში. ყოველი ზედმეტი ჰექტარი ყამირი, რომელსაც გავწმენდავთ ბუჩქნარისაგან და დავთესავთ ხორბალს, შეიძლება იყოს მარცვლის მიღების დამატებითი წყარო. ახალი მიწების ათვისება, ხორბლის მოსავლიანობის გადიდება უნდა გახდეს რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობის და საბჭოთა მეურნეობის ღირსების საქმე, სოფლის მეურნეობის რა დარგიც უნდა სჭარბობდეს იქ.

მარცვლეულის პრობლემის გადაჭრა უნდა გახდეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ღვიძლი საქმე, საყოველთაო საქმე. დამოუკიდებლად იმისა, თუ სად მუშაობენ ისინი, ქარხანაში ჩარხთან, დაჰყავთ მატარებლები, ასწავლიან ბავშვებს სკოლაში, შრომობენ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში, წერენ ახალ მუსიკალურ და ლიტერატურულ ნაწარმოებებს თუ ქმნიან ახალ სურათებს — ყველას შეუძლია ხელი შეუწყოს და თავისი შრომით კიდევაც უნდა შეუწყოს ხელი ამ პრობლემის წარმატებით გადაჭრას.

რაც უფრო კარგად ვიმუშავებთ, მით უფრო მოვაახლოებთ ჩვენი მიზნის — კომუნიზმის განხორციელებას.

უფრო მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა!

მთელი ჩვენი ძალა და ენერგია მოვახმაროთ მეხუთე სტალინური ხუთწლედის დიად ამოცანათა განხორციელების საქმეს!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადსა და მასწავლებელს, ჩვენს მშობლიურ სტალინს!

**წითელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონული თათბირის მონაწილეების დავალებით:**

**მ. ციხისთავი** — პარტიის წითელწყაროს რაიკომის მდივანი, **დ. ნატროშვილი** — წითელწყაროს რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, **ა. კობაიძე** — სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ი. ძაძთარაძე** — სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **გ. დონაძე** — ელდარის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, **გ. ბუჩუკური** — სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირი, **ვ. თეთრაული** — ქედის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, **ს. მასხარაშვილი** — სოფელ ქვემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **მ. უოჩიაშვილი** — ქედის მტს-ის უფროსი აგრონომი, **ნ. მორდვინოვი** — სოფელ წითელწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **მ. ბეკოიძე** — სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირი, **ა. კაჭარავა** — შირაქის მტს-ის დირექტორი, **ი. ზედგინიძე** — რაიონული საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების მთავარი აგრონომი, **ნ. მამაიაშვილი** — სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ა. ბიწაძე** — რაიონული საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, **ქ. ჯაფარიძე** — მემინდვრეობის საცდელი სადგურის დირექტორი, **ვ. ფიცხელაური** — გამარჯვების მტს-ის დირექტორი, **ს. მაჭავარიანი** — პარტიის რაიკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, **მ. ალადაშვილი** — სოფელ არბოშიკის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი, **გ. გველუკაშვილი** — კომკავშირის რაიკომის მდივანი, **ი. ბეძაური** — შირაქის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, **ი. ნიქოლაიშვილი** — სოფელ მირზაანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი, **ნ. გომელაური** — სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირი, **შ. ვარძუკაშვილი** — ქედის მტს-ის უფროსი მექანიკოსი.

# თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სესიაზე

27 ოქტომბერს შედგა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მეცხრე სესია, რომელმაც განიხილა შემდეგი საკითხები: თბილისის სკოლებში და საზოგადოებრივ ადგილებში ბავშვებისა და მოზარდების ყოფაქცევის შესახებ; ვაჭრობის საკითხებზე საქალაქო საბჭოს მეშვიდე სესიის გადაწყვეტილების შესრულების შემოწმების შედეგები; ორგანიზაციული საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა ბ. კიზირიამ, თანამოხსენება — სახალხო განათლების მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ვ. თოფურიამ.

საბჭოთა სკოლა, ჩვენი ახალგაზრდობა გარემოსილი არიან კომუნისტური პარტიის, ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის ყოველდღიური მზრუნველობით. ჩვენს მოსწავლეებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი გამოიწრთონ კომუნიზმის აქტიურ მშენებლებად.

მიუხედავად მოპოვებული მიღწევებისა, ქალაქ თბილისის საშუალო სკოლებში ჯერ კიდევ ვხვდებით სერიოზულ ნაკლოვანებებს. მთელ რიგ სკოლებში საჭირო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა წესების დაცვას, პედაგოგიური კადრების შერჩევასა და აღზრდას, მათი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას. ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის სახალხო განათლების ორგანოებს, პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს კონკრეტული ამოცანები დაუსახა საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობაზე თავის მოხსენებაში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. მგელაძემ. ეს მითითებანი განუხრელად უნდა შესრულდეს.

შემოწმებით გამორკვეულია, რომ მოსწავლეთა საგრძნობი ნაწილი ჯერ კიდევ ცუდად იქცევა სკოლაში, უპასუხისმგებლოდ ეკიდება თავის მოვალეობას, უხეშად არღვევს დისციპლინას. ამის შედეგია ის, რომ თბილისში 1951-1952 სასწავლო წლის ბოლოს 87.474 მოსწავლიდან იმავე კლასში დატოვებულ იქნა 5.797 მოსწავლე, საშემოდგომო გამოცდები მიეცა 9 ათასზე მეტ მოსწავლეს. ძლიერ ცუდი მაჩვენებლები აქვთ ვაჟთა მე-5, მე-15, 37-ე საშუალო სკოლებს. ჯერ კიდევ საგრძნობია მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენა. გასულ სასწავლო წელს ქალთა 27-ე საშუალო სკოლაში უმიზეზოდ გაცდენილია 11.588 გაკვეთილი. უფრო უარესი მდგომარეობაა ვაჟთა მე-17 საშუალო სკოლაში და სხვ.

იქ, სადაც პედაგოგიური კოლექტივი პასუხისმგებლობით ეკიდება მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეს, მდგომარეობაც კარგია. მაგრამ ყველგან ასე როდი იქცევიან. 47-ე რვაწლიან სკოლაში მასწავლებლებს 8 სექტემბერსაც არ ჰქონდათ წარმოდგენილი საგნის წლიური კალენდარული განრიგი, ორი კლასის ხელმძღვანელს სამუშაო გეგმაც არ ჰქონდა და სხვ. მოწოდების დონეზე არ დგას ქართული ლიტერატურის სწავლება ვაჟთა მე-15 სკოლის მეექვსე კლასში. მსგავსი მდგომარეობაა ვაჟთა მე-9 საშუალო სკოლაში ქართული ენის სწავლებაში.

საჭიროა გადაჭრით გაუმჯობესდეს კლასების ხელმძღვანელთა მუშაობა, დადაისინჯოს მათი შემადგენლობა და შეიცვალოს სუსტი მუშაკები მომზადებული მუშაკებით, დაწესდეს მოსწავლეთა ყოფაქცევის ჟურნალის ერთიანი ფორმა. მოსწავლეთა მიერ სკოლებში, სკოლის გარეთ — ქუჩაში, საზოგადოებრივ ადგილებში და სხვაგან დისციპლინის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად უნდა ჩავაბათ მთელი საზოგადოებრიობა, მილიციის ორგანოები, გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობა ამ მიმართულებით. აუცილებელია ფიზკულტურული მუშაობის გარდაქმნა. უკეთესად უნდა იმუშაონ ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლემ, ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებმა, პარკებმა, აგრობიოლოგიურმა სადგურმა და ბავშვთა რკინიგზამ. საჭიროა მკვეთრად გაუმჯობესდეს მშობელთა კომიტეტების მუშაობა.

ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ღამით ქუჩებში მოსწავლეთა უსაქმოდ ხეტიალი. ამ საქმეში შემჩნეულნი არიან ვაჟთა მე-3, მე-5, მე-7, მე-14, მე-19, მე-20 და მთელი რიგი სხვა სკოლების მოსწავლეები. არის შემთხვევები, როცა მოსწავლეები თეატრებში, კინოთეატრებში უდროო დროს და არაორგანიზებულად დადიან, არღვევენ წესრიგს, სწევენ პაპიროსს, უწმაწური სიტყვების ხმარებასაც არ ერიდებიან. ამას ვხვდებით უფრო მეტად კინოთეატრ „ისანში". ნავთლუღის რკინიგზის კლუბში 22 საათის შემდეგაც ნახავთ მოსწავლეებს. კიროვის პარკის კინოთეატრში ყველა სეანსზე უშვებენ ბავშვებს. ასევე ირღვევა წესები კინოთეატრებში „დიდუბეში", „კოლმეურნეში" და სხვ.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა ბავშვი სწავლობდეს მონდომებულად, ბეჯითად, წარმატებით. ჩვენი ამოცანაა აღვზარდოთ ფიზიკურად საღი, კულტურული, თავმდაბალი, ზრდილობიანი, კომუნიზმის აქტიური მშენებელი ახალგაზრდა თაობა.

კამათში გამოსულმა დეპუტატებმა ა. ტიმოფეევამ, ე. გეგიაძემ, შ. ბერიანიძემ, ვ. კუპრაძემ, მ. ბახჩინიანმა ყურადღება გაამახვილეს მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის კონკრეტულ ამოცანებზე, დაასახელეს მრავალი ფაქტი, თუ როგორ არ უნდა ვზრდიდეთ ბავშვებს სკოლაში და სკოლის გარეთ; მათ გააკრიტიკეს საქალაქო საბჭოს, რაიონული საბჭოების აღმასკომების, სახალხო განათლების ორგანოების, კომკავშირული ორგანიზაციების სუსტი მუშაობა. დეპუტატებმა ვ. კუპრაძემ, შ. ბერიანიძემ დააყენეს მოსწავლე ვაჟთა ფორმის ტანსაცმლის ხარისხის აუცილებლად გაუმჯობესებისა და მისი ფასის შემცირების საკითხი. ამ წინადადებას სათანადოდ უნდა ჩაუფიქრდნენ სავაჭრო ორგანიზაციები. დეპუტატმა შ. ბერიანიძემ წინადადება შეიტანა, რომ თბილისის მოსწავლეებს და პიონერებს ჰქონდეთ კულტურისა და დასვენების პარკი. კამათში გამოსულმა ამხ. ქ. გიორგაძემ გააკრიტიკა თბილისის საქალაქო საბჭოს და რაისაბჭოების აღმასკომების მუშაობა ბავშვთა უმეთვალყურეობასთან ბრძოლაში. მან მოითხოვა, რომ საბავშვო ჟურნალებმა და ახალგაზრდობის გაზეთებმა უფრო ხშირად ბეჭდონ სწავლა-აღზრდის საკითხებზე საინტერესო, მიმზიდველი წერილები, მოთხრობები, ნარკვევები. სიტყვით გამოსულმა ამხ. ი. ხუციშვილმა ყურადღება გაამახვილა კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაზე, პიონერთა სახლების, ტექნიკური სადგურების, სასკოლო მუშაობის კომისიების საქმიანობის მკვეთრად გაუმჯობესებაზე და სხვ.

სესიამ მეორე საკითხად განიხილა ქალაქ თბილისში ვაჭრობის გაუმჯობესების საკითხებზე საქალაქო საბჭოს მეშვიდე სესიის გადაწყვეტილების შესრულების შემოწმების შედეგები. ამ საკითხზე ინფორმაციით გამოვიდა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი გ. ბექანიშვილი. სესიაზე აღინიშნა, რომ სავაჭრო ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს მუშაობა ახალი ამოცანების შესაბამისად. არ სრულდება საქონელბრუნვის გეგმები. თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებს, მთელ რიგ სავაჭრო ორგანიზაციებს არ შეუსრულებიათ საქონელბრუნვის მესამე კვარტალის გეგმები. არის ვაჭრობის წესების დარღვევისა და უხარისხო პროდუქციის გამოშვების შემთხვევები. მაგალითად, საქპურტრესტი ხშირად უშვებს უხარისხო პროდუქციას და არღვევს სტანდარტს. მსგავს ფაქტებს ვხვდებით „გლავკონდიტერში" და სხვაგან.

სესიამ ორივე საკითხზე მიიღო სათანადო დადგენილებანი.

შემდეგ სესიამ განიხილა ორგანიზაციული საკითხები. საქალაქო საბჭოს დეპუტატი ნ. გიორგობიანი გაათავისუფლა საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრობისაგან და წევრებად აირჩია: ამხ. გ. ჯიბლაძე, მ. თათარაშვილი, ა. კორახაშვილი.

სესიამ საქალაქო საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგედ დაამტკიცა ამხ. ა. ფარულავა, ხოლო ვაჭრობის განყოფილების გამგედ — ამხ. ნ. ბაიდაშვილი.

# ესტონეთისა და საქართველოს სპორტსმენთა ტრადიციული შეჯიბრება

დამთავრდა ესტონეთისა და საქართველოს სპორტსმენთა ნაკრები კოლექტივების ტრადიციული შეჯიბრება მძლეოსნობაში, ცურვაში, წყალბურთსა და კრივში. ამ შეხვედრებმა ერთხელ კიდევ ცხადყო ესტონეთისა და საქართველოს მოძმე რესპუბლიკების ხალხთა სტალინური მეგობრობის ურღვევი სიმტკიცე.

საინტერესოდ მიმდინარეობდა მძლეოსანთა ასპარეზობა. შეჯიბრების პირველ დღეს, 26 ოქტომბერს, მძლეოსნური სპორტის 8 სახეობაში შეგროვილი ქულებით ესტონელები პირველ ადგილზე აღმოჩნდნენ. 27 ოქტომბერს საქართველოს გუნდის წარმომადგენლებმა 1 ქულით გაუსწრეს სტუმრებს, ხოლო 28 ოქტომბერს — 12 ქულით და პირველი ადგილი დაიკავეს. უკანასკნელი შეხვედრებიდან დიდი ინტერესი გამოიწვია ამანათრბენამ 800+400+200+100 მეტრზე, რომელიც საქართველოს გუნდის გამარჯვებით დამთავრდა; დრო—3 წუთი და 20,8 წამი.

მძლეოსნობაში საქართველოს სპორტსმენებმა დაამყარეს ჩვენი რესპუბლიკის 2 ახალი რეკორდი. მაღალ სპორტულ შედეგებს მიაღწიეს — ე. გოკიელმა, ლ. სანაძემ, ხ. ლიპმა, მ. ველსვებელმა, ლ. მარემაიემ, გ. ლეჟავამ, ა. რეკუნოვამ და სხვ.

წარმატებით აღინიშნა საქართველოს მცურავთა და წყალბურთელთა გამოსვლები წყალის სპორტის უმრავლეს სახეობაში პირველობა მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის გუნდის წარმომადგენლებმა, ამასთანავე მათ დაამყარეს საქართველოს 16 ახალი რეკორდი.

ესტონეთისა და საქართველოს წყალბურთელთა შეხვედრები დამთავრდა საქართველოს გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 9 : 4 და 10 : 1.

საქართველოს ახალი რეკორდები ცურვაში დაამყარეს: ლ. ფაჩულიამ, ვ. ბუკარევმა, ბ. ბრეუსმა და სხვ.

შეჯიბრების უკანასკნელ დღეს, 28 ოქტომბერს, თბილისის ცირკში გაიმართა ესტონეთისა და საქართველოს მოკრივეთა შეჯიბრება. საქართველოს მოკრივეებმა ამ შეჯიბრებაში გამოამჟღავნეს საუკეთესო ფიზიკური და ტექნიკური მომზადება და მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 9 : 1. წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვება მოიპოვეს: რ. კალაჯევმა, თ. ტატანაშვილმა, გ. ხანუკაშვილმა, ქ. ზუბიაშვილმა, თ. გუჯაბიძემ, ხ. ვილლუმმა, გ. დარბაისელმა, ტ. მიქაელიანმა, ნ. დარბაისელმა და კ. ბაბახანიდიმ.

პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის ოთხივე სახეობაში პირველი ადგილი და საერთო გამარჯვება მოიპოვა საქართველოს გუნდმა, რომელსაც აჩუქეს ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის პირველი ხარისხის დიპლომი და თასი. პირად შეჯიბრებაში გამარჯვებულნი დაჯილდოებული არიან დიპლომებით და მედლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამემოდგომო თესვა

# შეჯიბრების ძალა

თბილისის გარეუბნის რაიონის მოწინავე კოლმეურნეები და მექანიზატორები განამტკიცებენ ლენინ—სტალინის პარტიის XIX ყრილობისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებულ წარმატებებს და თავდადებულად მუშაობენ იმისათვის, რათა ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავს.

მოწინავეთა შორის არის სოფელ მარტყოფის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა. მექანიზაციის გამოყენებით წელს კოლმეურნეობამ 1.003 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე შარშანდელთან შედარებით 8 ცენტნერით მეტი ხორბალი მიიღო. შრომადღეზე თვითეულ კოლმეურნეს ავანსად ხვდა 3 კილოგრამი და 700 გრამი ხორბალი. ხალხთა ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვით და მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული კოლმეურნეები დღითიდღე აძლიერებენ მუშაობის ტემპს. წელს ხორბლის მოსავლიანობის გასადიდებლად ათვისებულ იქნა 200 ჰექტარი ყამირი და ამ ფართობზე დაითესა ხორბალი. აგროწესების ზუსტად დაცვით 1.200 ჰექტარი მოხნეს წინმხვნელიანი გუთნით. ხვნის წინ შეიტანეს სასუქი. კოლმეურნეობამ ვადამდე შეასრულა ნაკისრი ვალდებულება — ჯვარედინად დათესა 400 ჰექტარი. კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადაჭარბებით ჯვარედინად დათესონ 150 ჰექტარი ხორბალი.

შეჯიბრებაში დაწინაურდა ბრიგადა, რომელსაც გ. ჯამალაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ უკვე შეასრულა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება. დათესა 600 ჰექტარი შემოდგომის ხორბალი, მათ შორის 450 ჰექტარი ჯვარედინად. ეს ბრიგადა სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული სოფელ მარტყოფის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მემინდვრეობის იმ ბრიგადასთან, რომელსაც გ. ჯერანაშვილი ხელმძღვანელობს. იგი შარშანაც მას ეჯიბრებოდა. გამარჯვებული ამხ. ჯამალაშვილის ბრიგადა გამოვიდა. ამ დღეებში მოწყობილ სარაიონთაშორისო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ამ ბრიგადამ კარგი შეფასება მიიღო. ახლა ბრიგადა იმისათვის იბრძვის, რომ მომავალ წელს თვითეულ ჰექტარზე ხორბლის მოსავლიანობა აიყვანოს 18-20 ცენტნერამდე.

კოლმეურნეობებს დიდ დახმარებას უწევენ მექანიზატორები. მარტყოფის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კოლექტივს პირობითი ხვნაზე გადაყვანით წლიური გეგმით უნდა მოეხნა 22.000 ჰექტარი. ეს სამუშაო ვადაზე 2 თვით ადრე გადაჭარბებით გაანაღდეს. ნაყოფიერად იმუშავეს ყამირის ათვისებლად. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 300 ჰექტარისა შემოდგომის ხორბლის დასათესად ათვისებულია 1.038 ჰექტარი ყამირი.

სატრაქტორო ბრიგადას, რომელსაც ვ. კობიაშვილი ხელმძღვანელობს, სოფელ მარტყოფის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში გეგმით უნდა დაეთესა 500 ჰექტარი, ვადაზე 10 დღით ადრე დათესა 501 ჰექტარი. ამ ბრიგადას წლიური გეგმით პირობით ხვნაზე გადაყვანით უნდა მოეხნა 2.518 ჰექტარი. მან კი მანქანის სრული დატვირთვით მუშაობის მეოხებით წლიურ გეგმას 607 ჰექტარით გადააჭარბა და დაზოგა 6.200 კილოგრამი საწვავიც.

ბრიგადირი კობიაშვილი ენერგიულად მუშაობს, რათა დიდი ოქტომბრის დღესასწაულს შეხვდეს ახალი გამარჯვებით — პირობითი ხვნაზე გადაყვანით წლიური გეგმის გადამეტებით მოხნას 1.000 ჰექტარი, შემოდგომის ხორბალი დათესოს 60 ჰექტარი. ასევე მოწინავეა სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც გ. ჩუბინიძე ხელმძღვანელობს.

კოლმეურნეთა და მექანიზატორთა შორის ფართოვდება საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება.

**შ. ჩოჩუა,**
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.

## ჩაი გეგმის გადამეტებით

**ხობი.** (საკ. კორ.). სოფელ საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ქსენია ქვალიშვილმა შარშან ნახევარ ჰექტარ პლანტაციაში 6 ტონა ჩაი მოიყვანა. ეს მოსავალი წინა წლისას ერთიორად აღემატებოდა. მაგრამ კომკავშირელი ქალიშვილი მიღწეულით როდი დაკმაყოფილდა.

— 1952 სამეურნეო წელს უკეთესად უნდა ვიმუშაო და სასახელო მაჩვენებლებიც მოვიპოვო, — გადაწყვიტა მან და საუკეთესოდ დაამუშავა ჩაის პლანტაციები. ექვსჯერ ჩაატარა კულტივაცია, ხუთჯერ გათოხნა პლანტაცია, დროულად შეიტანა აზოტოვანი სასუქი. პლანტაციის ნაწილი ნაკელწყალითაც გამოკვება.

მთავარი მაინც კრეფა იყო. ქსენია განუწყვეტლივ, ყოველდღიურად კრეფდა და კრეფს ჩაის ფოთოლს, არც ერთ შემოსულ დუყს ბუჩქზე არ ტოვებს.

კომუნისტური პარტიის XIX ყრილობასთან დაკავშირებით მან ახალი ვალდებულება აიღო და სეზონში 9 ტონა ჩაის ფოთლის ჩაბარება იკისრა. 20 ოქტომბრისათვის უკვე მოკრიფა 8.804 კილოგრამი ჩაი. დამზადებული ნედლეულის 84 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულ კოლმეურნეს გადაწყვეტილი აქვს მომავალ წელს ერთ ჰექტარ პლანტაციას მოუაროს და სანიმუშო მოვლა-დამუშავებით სახელმწიფოს 20 ტონა ჩაი ჩააბაროს.

ოქტომბრის დიდი დღესასწაულის მოახლოებასთან დაკავშირებით მოწინავე მეჩაიე განსაკუთრებული მონდომებით მუშაობს.



მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა. სურათზე: კოლმეურნე ბ. გუმბერიძე, რომელიც ჩაბმულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ყურძნის კრეფის დღიურ ნორმას გადაჭარბებით ასრულებს.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

## ყურძნის უხვი მოსავალი

**ახმეტა.** (საკ. კორ.). მდინარე ილტოს მარცხენა მხარეს ვენახებისათვის მეტად ხელსაყრელი ნიადაგებია. აქ სოფელ მატნის კოლმეურნეობებმა ათი წლის წინათ 90 ჰექტარზე მეტი ვენახი გააშენეს. „რქაწითელმა" და „საფერავმა" მშვენივრად გაიხარა. წელს კოლმეურნეობებმა ვენახების დამუშავებას სერიოზული ყურადღება მიაქციეს. სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ყ. ოტიაშვილი) ვენახის ხვნა და ვაზის ძირების გამობარვა 5-ჯერ ჩაატარა, მინერალური და ორგანული სასუქები საკმარისი რაოდენობით შეიტანა, გასხვლა ინდივიდუალური მიდგომით მოაწყო, წინა წლებთან შედარებით ვაზი ორჯერ მეტად დატვირთა. მწვანე ოპერაციები და ქიმიკატებით მკურნალობა ზუსტად დადგენილ ვადებში მოახდინეს.

ბეჯითმა შრომამ სასიხარულო ნაყოფი გამოიღო. წინა წლებთან შედარებით ყურძნის მოსავლიანობა ერთიორად გადიდდა. ბრიგადამ, რომელსაც დავით ოტიაშვილი ხელმძღვანელობს, 20 ჰექტარი ფართობის ჰექტარზე საშუალოდ 55 ცენტნერი ყურძენი მოიწია. ო. ტერტერაშვილმა მოსავლელად მიჩენილი ერთი ჰექტარი ვენახიდან 90 ცენტნერი ყურძენი მიიღო, გეგმა კი 46 ცენტნერს ითვალისწინებდა. ს. მთიულიშვილმა, გ. სარქისაშვილმა, ივანე ტერტერაშვილმა და სხვებმა ყურძნის მოსავლიანობის გეგმა ორმაგად შეასრულეს.

კოლმეურნეობას 1.600 ცენტნერი ყურძენი უნდა ჩაებარებინა სახელმწიფოსათვის. უკვე ჩაბარებულია 1.700 ცენტნერი. კიდევ 100 ცენტნერის ჩაბარებასვარაუდობენ.

## მოწინავე მევენახე

სამტრედიის რაიონის სოფელ საჯავახოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეობის იმ ბრიგადამ, რომელსაც ა. წეროძე ხელმძღვანელობს, პირნათლად გაანაღდა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება. ბრიგადამ დროულად და უდანაკარგოდ აიღო ყურძნის უხვი მოსავალი. ჰექტარზე მიიღო 50 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 47 ცენტნერისა. მევენახე კოლმეურნეები ე. თარგამაძე და ი. გაგუა ყურძნის კრეფის დღიურ ნორმებს ორას-ორასი პროცენტით ასრულებდნენ.

**გ. კაკიტელაშვილი.**

## ახალი ელექტროსადგურები

**სტალინირი.** (საკ. კორ.). მთიან სამხრეთ ოსეთში წლითიწლობით ფართოვდება ელექტროსადგურების ქსელი. ადამიანი იმორჩილებს მთის მარდ და წყალუხვ მდინარეებს და მათ გარდაქმნილ ძალას იყენებს საკოლმეურნეო წარმოებაში.

მას შემდეგ, რაც კავკასიონის უღელტეხილთან მაღალმთიან როკაში ამუშავდა საკოლმეურნეო ელექტროსადგური, ბევრმა მიბაძა როკელთა კარგ მაგალითს. ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცა ქსნის ხეობაში სოფელ ლარგვისთან აგებული საკოლმეურნეობათაშორისო ელექტროსადგური. ილიჩის ნათურებმა გააბრწყინა მთიელთა ბინები, სადაც რამდენიმე ათეული წლის წინათ ჭრაქიც კი არ ენთო.

ლარგვისის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობებს ათეულ ათასობით ცხვარი ჰყავთ. მეცხოველეები აღფრთოვანებული არიან იმით, რომ ამიერიდან მეცხვარეობის ფერმებში დანერგავენ ელექტროენერგიას და კიდევ უფრო ნაყოფიერს გახდიან თავიანთ შრომას.

ახლახან ახალი ელსადგურის მშენებლობა დამთავრდა აგრეთვე ზნაურის რაიონის სოფელ ყორნისში.

## ბიბლიოგრაფია

# წიგნი მშვიდობისათვის ბრძოლაზე

რუსულ ენაზე გამოვიდა პროგრესული ფრანგი მწერლის ანდრე სტილის წიგნი „ქვემეხის ამბავი". ეს მეორე ნაწილია რომან „პირველი დარტყმისა", რისთვისაც ავტორს სტალინური პრემია მიენიჭა.

თავის რომანში ანდრე სტილი სიმართლით გვიჩვენებს ფრანგი დოკერების ბრძოლას მშვიდობისათვის, ამერიკელი ოკუპანტებისა და მათი ფრანგ ხელშემწყობთა საომარი მზადების წინააღმდეგ. წიგნი გვიჩვენებს, როგორ სულ უფრო მწვავე და დაძაბული ხდება ეს ბრძოლა, როგორ ღებულობს იგი ახალ ფორმებს, როგორ იქცევა საფრანგეთის ყველა პატიოსანი ადამიანის სისხლხორცეულ საქმედ.

მწერალმა შეძლო დიდი დამაჯერებლობით აესახა წიგნში თანამედროვე საფრანგეთის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ტანჯვისა და უბედურების, ცხოვრებისა და ბრძოლის სურათები. მასში გმირობისა და მამაცობის სურათები გადახლართულია ტრაგიზმის სურათებთან. მაგრამ მთელ ამ თხრობას წითელ ზოლად გასდევს ფიქრი იმაზე, რომ ხალხი, რომელიც ხელში იღებს მშვიდობის დაცვის საქმეს,—დიდი ძალაა, რომ მშრომელთა მასების დარაზმულ მოქმედებას ძალუძს ჩაშალოს მშვიდობის წინააღმდეგ შეთქმულთა, მშვიდობის მტრების, თავისუფლებისა და დემოკრატიის ჩამხშობთა ხრიკები.

წიგნში მოქმედება ვითარდება იმის მეორე დღეს, როცა დაბა შატო დ'ო-ს მცხოვრებლებმა—ნავსადგურის დოკერებმა დატოვეს დამპალი, ჰუჰყიანი ბარაკები და დაიკავეს კარგი და ნათელი შენობა, რომლის გამოყენებას ამერიკელი ოკუპანტები ცდილობდნენ კანცელარიად აეროდრომზე. ამ ეპიზოდით, მუშათა ზეიმით მთავრდებოდა რომანის პირველი წიგნი.

პოლიციელები — მოკლეები, ოკუპანტთა მაამებლები და ხალხის წინაშე კი მშიშარები, გარსშემოერტყნენ სახლს იმ მიზნით, რომ შეევიწროებინათ დოკერები, გაეყარათ ისინი ქუჩაში. მათ მოაწყეს სახლის სრული ბლოკადა, ცდილობდნენ მუქარითა და პროვოკაციებით გაეტეხათ მუშათა წინააღმდეგობა და სიმტკიცე. მაგრამ მათი ყოველი ცდა მარცხს განიცდის. დოკერები, რომლებსაც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ბოლომდე დაიცვან თავიანთი უფლება, იგერიებენ ოკუპანტთა დაქირავებულ მსახურთ.

ერთგულნი პროლეტარული სოლიდარობისა, დოკერების დასახმარებლად მოდიან დაბის არა მარტო ყველა მცხოვრებნი, არამედ მეზობელი ქალაქის საწარმოთა მუშებიც. ისინი აწყობენ დიდ საპროტესტო დემონსტრაციას, და მოკლეები იძულებული არიან შერცხვენილნი გაბრუნდნენ უკან.

ასევე ჩაფლავდება პოლიციელთა ბინძური ცდა—მოახდინონ აფეთქება ამერიკელთა საწყობში, იმ სახლის ახლოს, სადაც მუშები ცხოვრობენ, რათა შემდეგ ბრალი დასდონ დოკერებს და თავს დაატეხონ მათ მძვინვარე რეპრესიები. აქაც გამარჯვება მუშებს დარჩათ.

ანდრე სტილი გვიჩვენებს, თუ როგორ იზრდება საფრანგეთის მშრომელთა დარაზმულობა თავიანთი ეროვნული ღირსებისა და ეროვნული ტრადიციების, თავიანთი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და უშიშროების დაცვისაკენ მიმართულ მოქმედებაში. მწერალი მოგვითხრობს, რომ ძლიერდება საერთოსახალხო მოძრაობა გალატაკებისა და ომის იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რასაც საფრანგეთის მმართველები ამერიკელი დიქტატორების მითითებით ახორციელებენ.

მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ხალხთა მასების ბრძოლის სიმართლითა და სიღრმით გახსნა ანდრე სტილის წიგნის დიდი დამსახურებაა, ამაშია მისი მთავარი ძალა, მისი ქმედითობა.

მიმდინარე წლის სექტემბერში საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ჟაკ დიუკლო აღნიშნავდა, რომ „ახლანდელ ვითარებაში, როცა საქმე ეხება ქვეყნის ხსნას გაჩანაგებისა და შერცხვენისაგან მოღალატური პოლიტიკის გამო, დგება ამოცანა მუშათა კლასის დარაზმულობისა და მასთან ერთ მძლავრ ნაციონალურ ფრონტად ფრანგი მამაკაცებისა და ქალების გაერთიანებისა, რომლებსაც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იბრძოლონ მშვიდობისა და სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, მიუხედავად თავიანთი პოლიტიკური რწმენის, რელიგიური სარწმუნოებისა თუ სოციალური მდგომარეობისა".

ერის მთელი ჯანსაღი ძალების წინაშე მდგომ ამ ძირითად ამოცანას ემსახურება ანდრე სტილის რომანი. იგი განამტკიცებს მშრომელთა რწმენას საკუთარი ძალისადმი, მათი საბოლოო გამარჯვებისადმი. წიგნი თვალს აუხელს ბევრს, ვინც ჯერ კიდევ გულგრილად უყურებს მშვიდობის, თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის ბედ-იღბალს. ბევრი უბრალო ადამიანის მაგალითზე, ვისი სახეც დახატულია წიგნში—დოკერ გიტონისა, რომელმაც მოაწყო საცხოვრებელი სახლების დაცვის კომიტეტი, პოლეტისა, რომელიც აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა, ქ-ნ დიუკენისა, რომელიც გახდა ომის გამჩაღებელთა მამხილებელი, მასწავლებელ როჟესი—ოკუპანტთა და მათ ხელშემწყობთა მოწინააღმდეგისა, მეამწესი, რომელმაც ამერიკელთა ქვემეხი ზღვაში გადაუშვა,—მწერალი გვიჩვენებს, თუ რა უნდა გააკეთოს თვითეულმა პატრიოტმა, ვინც ფიქრობს თავისი სამშობლოს მომავალზე, მშვიდობაზე.

მხოლოდ ბრძოლა ომის მომზადების წინააღმდეგ, ეროვნული ინტერესების მოღალატეებისა და მშრომელთა ჩაგვრის წინააღმდეგ, იძლევა გაჭირვებისა და სიღატაკისაგან გამოსავალს, მომავლის პერსპექტივებს, ნერგავს იმედს.

ანდრე სტილი თავის წიგნში გვიჩვენებს, თუ როგორ პოულობენ მშვიდობისა და დემოკრატიის აქტიური დამცველები მუშაობის სხვადასხვა ფორმებს, რათა მშვიდობისათვის ბრძოლაში ჩააბან მთელი მოსახლეობა. ისინი აკეთებენ ოკუპანტების წინააღმდეგ მიმართულ წარწერებს ყველაზე თვალსაჩინო ადგილებზე, ნავსადგურში, დაბაში, ამერიკელთა მანქანებზე, ქმნიან მშვიდობის დაცვის კომიტეტებს, ავრცელებენ ფურცლებს, აწყობენ საპროტესტო დემონსტრაციებს, ხელს უშლიან საომარი მასალების გადმოტვირთვას.

ოკუპანტებისა და ომის გამჩაღებლებისადმი წინააღმდეგობის ყველა ამ ფორმას ანდრე სტილი, ჟურნალისტი და პარტიული მუშაკი, აღწერს ცხოვრების დიდი ცოდნით. საფრანგეთის პროგრესული პრესა არაერთხელ აღნიშნავდა, რომ ანდრე სტილის წიგნში ბევრი პარტიული მუშაკი და მშვიდობის დაცვის ფრონტის აქტივისტი პოულობს არა მარტო ფრანგი მუშებისა და კომუნისტების ბრძოლის განზოგადებას, არამედ გაკვეთილებსაც.

მწერლის ყურადღების ცენტრშია სანავსადგურო დაბის მუშათა მოქმედება. მაგრამ ამასთან ერთად მას სცენაზე გამოჰყავს სამრეწველო ბურჟუაზიის წრეები, მაღალი საზოგადოების ქარაფშუტა ახალგაზრდები, „ეგზისტენსიალისტური რომანების გმირები".

აღწერს რა თვითმფრინავით სეირნობას, მწერალი ამხილებს საფრანგეთის ამერიკელ „მეგობართა" ნამდვილ სახეს — ამერიკელთა საოკუპაციო ჯარების მფრინავებს, რომლებიც წარსულ ომში „შეცდომით" ბომბავდნენ საფრანგეთის მშვიდობიან მოსახლეობას, ანგრევდნენ საწარმოებს, რომელთაც შეეძლოთ კონკურენცია გაეწიათ ამერიკული ფირმებისათვის.

ანდრე სტილის მიერ დახატულ სახეთა შორის მის რომანში ანრი ლერუა გამოდის როგორც წამყვანი გმირი. დოკერი, კომუნისტური პარტიის სანავსადგურო სექციის ხელმძღვანელი, ის პარტიის იდეების გამტარებელია. მასში მწერლის მიერ ასახულია მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, უკეთესი მომავლისათვის ფრანგი ხალხის ბრძოლაში პარტიის ხელმძღვანელი როლი. ეს სახე აღსავსეა მუშათა კლასის, ფრანგი დოკერების საუკეთესო თვისებებით. უსაზღვროდ ერთგული პარტიის საქმისადმი, მუშათა კლასის საქმისადმი, ანრი ლერუა ავლენს დაუღალავი ორგანიზატორისა და მასობრივი მომუშავის, მამაცი და შეუპოვარი მებრძოლის თვისებებს. თავის მოქმედებაში ანრი ლერუა ისწრაფვის იყოს ლენინელი. იგი ხელმძღვანელობს ლენინისა და სტალინის შრომებით.

თავისი პატიმრობის დროს, ამხილებდა რა მშვიდობის მტრების, საფრანგეთის რეაქციული მმართველების ვერაგულ ზრახვებს, ანდრე სტილმა 14 ივლისის განცხადებაში დაუპირისპირა მათ კეთილშობილური მიზანი, რასაც კომუნისტები ისახავენ:

„რაც შეეხება კომუნისტებს,—თქვა მან, — მთელ მათ ცდას, მთელ მათ მონდომებას ამ უბოროტესი გეგმების წინააღმდეგ გადამწყვეტი და ენერგიული ბრძოლისაკენ ამოძრავებს კეთილშობილური მიზანი. მათ სურთ, რომ სოციალიზმის მზე რაც შეიძლება მალე ამობრწყინდეს მშვიდობისმოყვარე საფრანგეთშიც".

თავის რომანში სტილმა გვიჩვენა, როგორ იბრძვიან ამ კეთილშობილური მიზნისათვის საფრანგეთის მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის წინამძღოლი კომუნისტები. ქმნის რა მუშების, კომუნისტების სახეებს, მწერალი წარმოსახავს მათ, როგორც აწმყოს და მომავლის გმირებს, როგორც სოციალისტური მომავლის წინამძღოლებს, როგორც ცხოვრების ახალი წესის შექმნისათვის მებრძოლებს. ეს სწრაფვა მომავლისაკენ, ნათელი პერსპექტივების გრძნობა, დამახასიათებელია ანდრე სტილის გმირებისათვის.

ავითარებს რა პროგრესული ფრანგული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებს, ხელმძღვანელობს რა ლუი არაგონის, საბჭოთა მწერლების მაგალითითა და გამოცდილებით, ანდრე სტილი გვიჩვენებს მუშათა კლასს და მის მოწინავე რაზმს — კომუნისტებს როგორც ერის წამყვან ძალას, ერთადერთ ძალას, რომელსაც ძალუძს უხელმძღვანელოს ფრანგი ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობისა და ინტერესებისათვის ბრძოლას. ამ მოწინავე კლასის იდეოლოგიისა და მორალის მატარებლებს წარმოადგენენ ანდრე სტილის რომანის დადებითი გმირები.

ხატავს რა ანრი ლერუას სახეს, ავტორი გვიჩვენებს, თუ როგორ ახერხებს ის, კომუნისტების მეთაური, დოკერების ცხოვრებისა და ბრძოლის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტას. ძალასა და რწმენას მას აძლევს ხალხის მასებზე მუდმივი დაყრდნობა. ხალხის აზრზე ამოწმებს იგი თავისი მოქმედების სისწორეს. ამიტომაც იგი მუდამ ხელმძღვანელობს ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით.

თავის შემოქმედებაში ანდრე სტილი, მისივე აღიარებით, ხელმძღვანელობს სოციალისტური რეალიზმის პრინციპებით.

ხსნის რა მოვლენების ღრმა სოციალურ არსს, მათს კანონზომიერებას, მათს განვითარებას, ავტორი გვიჩვენებს ხალხს, როგორც ისტორიის შემოქმედს. მუშა კომუნისტების სახით ის ხედავს და გამოხატავს ხალხის წამყვან ძალას, ერის მეთაურთა რაზმს. ხაზს უსვამს რა ბურჟუაზიული სამყაროს, ომის გამჩაღებლების ბანაკის განწირულობას მშრომელთა მასების დარაზმული მოქმედების წინაშე, ანდრე სტილი სახავს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმის გარდუვალი ზეიმის იდეას.

ანდრე სტილის რომანი „პირველი დარტყმა" და „ქვემეხის ამბავი" — ეს არის წიგნები მშვიდობისათვის ბრძოლაზე, მშვიდობის დამცველებზე. ეს წიგნები გვიჩვენებენ, თუ როგორ ეხსოვება ეს ბრძოლა თვითეული პატიოსანი ადამიანის ცხოვრებასა და ბედს; როგორ იქცევა ეს ბრძოლა თვითეული, ნამდვილი პატრიოტის ღირსების საქმედ და მოითხოვს მისგან აქტიურ მოქმედებას. ღრმად მართალი სურათებით წიგნი გვიჩვენებს, თუ როგორ აწყდება ამერიკელი პროვოკატორებისა და ომის გამჩაღებლების, მათი ფრანგი დამქაშების მოქმედება ორგანიზებულ წინააღმდეგობას ხალხისას, რომელიც, როგორც ანდრე სტილმა საპატიმროში ყოფნის დროს განაცხადა, „შეძლებს დაიცვას თავი, თქვას საბოლოო სიტყვა".

ნათელს ფენს რა ფრანგი ხალხის ბრძოლას მშვიდობისათვის, ანდრე სტილის წიგნი ასწავლის, თუ როგორ უნდა გააძლიეროს ეს ბრძოლა მუშათა კლასმა და მისმა მოწინავე რაზმმა — კომუნისტურმა პარტიამ, როგორ მიიყვანოს იგი საბოლოო გამარჯვებამდე.

**ე. ტრუშჩენკო.**

## ახალი სამუზეუმო ნივთების პოვნა

ამას წინათ აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს ყვარლის რაიონის სოფელ ენისელის საშუალო სკოლის მასწავლებელმა გ. ნერსესაშვილმა წარუდგინა ამავე სოფელში მიწის სამუშაოთა შესრულებისას ნაპოვნი სატევარი, რომელიც გვიანი ბრინჯაოს პერიოდს მიეკუთვნება. და სოფელ გრემში ნაპოვნი ერეკლე მეორის დროინდელი ვერცხლის მონეტა.

ორივე ეს სამუზეუმო ნივთი გ. ნერსესაშვილმა მუზეუმს ჩააბარა.

# სადღეისო თემაზე

## 1. მეტი ყურადღება ზამთრისათვის საქალაქო მეურნეობის მომზადებას

ზამთრისათვის საწარმო-დაწესებულებების კარგად მომზადება დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმეა. ამ მიმართულებით განსაკუთრებულ სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს საქალაქო მეურნეობა. ზამთრისათვის მის მომზადებაზე ბევრად არის დამოკიდებული ქალაქის მოსახლეობის საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესება, მშრომელთა მომსახურების კულტურის ამაღლება.

როგორც რედაქციაში შემოსული წერილებიდან ჩანს, მთელ რიგ საწარმო-დაწესებულებებსა და ზოგიერთ ადგილებზე ზამთრისათვის ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ემზადებიან. ამ მხრივ ნაკლოვანებებს ადგილი აქვს რკინიგზის ტრანსპორტზეც.

ზოგიერთი საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელი ბინების მოვლა-პატრონობისადმი გულგრილობას იჩენს.

„ერთხელ,—გვწერს სტახანოველი ვ. სუხიშვილი, — თბილისის ლენინის რაიონის პროკურორის კაბინეტში საჭირო საქმეზე შევედი. გარეთ წვიმდა, კაბინეტშიც წყალი წკრიალით ჩამოდიოდა. ქაღალდებს აქეთ-იქით დაარბენინებდნენ. ჭერი ჩამონგრეულია. როგორც ჩანს, ამ სამარცხვინო ამბავს ურიგდებიან".

ეს მდგომარეობა ცნობილია როგორც რაისაბჭოს აღმასკომის, ისე საქართველოს სსრ პროკურატურისთვისაც, მაგრამ ისინი რატომღაც საქმეში სხვების ჩარევას უცდიან.

საბინაო ფონდის დროულად შეკეთება, მოვლა-პატრონობა მისი შენარჩუნების საფუძველია. მოქალაქე ა. ზირაქიშვილი გვწერს, რომ ლესელიძის ქუჩაზე მდებარე № 27 სახლი კატასტროფულ მდგომარეობაშია, მისი სახურავი დაზიანებულია, ოთახებში წყალი ჩამოდის, კანალიზაციის უვარგისობის გამო სახლის საძირკველი დაზიანდა. მობინადრეთა განცხადებებს, სიგნალებს საბინაო სამმართველოს მუშაკები ლიტონი დაპირებებით უპასუხებენ.

თბილისის მთელი რიგი საბინაო სამმართველოები (კიროვის, ბერიას, მოლოტოვის რაიონები) ამ საქმეს ზოგჯერ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, ბინების რემონტს დაბალხარისხოვნად აკეთებენ.

„კლარა ცეტკინის ქუჩაზე მდებარე № 162 სახლის შეკეთებაზე,—გვწერს მობინადრე გ. ნადირაშვილი, — მრავალი განცხადება და განკარგულება არსებობს. ყველაფერი ეს მხოლოდ ქაღალდზე რჩება. ახლოვდება ზამთარი. დაზიანებული სახლი საეჭვოა გადაურჩეს ქარსა და წვიმებს. საინტერესოა რას ფიქრობენ რაიონის საბინაო სამმართველოს მუშაკები?".

ასეთი ფაქტები ერთეული როდია. ზამთრისათვის საქალაქო მეურნეობის სანიმუშოდ მომზადება ადგილობრივი პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების გადაუდებელი საბრძოლო ამოცანაა.

ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. ი. მგელაძის მითითება: „საქალაქო მეურნეობა მთელი მისი კომუნალური საწარმოებით კომუნისტური მშენებლობის ძალიან მნიშვნელოვანი უბანია, რადგან იგი უშუალოდ ემსახურება მოსახლეობის საჭიროებას. სწორედ ამიტომ საქალაქო მეურნეობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი მუდამ უნდა იყოს პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში".

## 2. ავამაღლოთ საბჭოთა ვაჭრობის კულტურა

უკანასკნელ ხანს პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ხელმძღვანელობის შედეგად ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში თვალსაჩინოდ განვითარდა და გაიშალა საბჭოთა ვაჭრობა. გაიხსნა ახალი კეთილმოწყობილი უნივერმაღები, მაღაზიები, პავილიონები, სასადილოები, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან მაღალხარისხოვანი სასურსათო და სამრეწველო საქონლით.

სახელმწიფო ვაჭრობის თავდადებული, პატიოსანი ადამიანები — დახლის მოწინავე მუშაკები ღირსეულად ასრულებენ დაკისრებულ საპატიო ამოცანას—კულტურულად ემსახურებიან მომხმარებლებს. მაგრამ, მიუხედავად გარკვეული მიღწევებისა, ზოგიერთი სავაჭრო ორგანიზაციის მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. ამის შესახებ რედაქციას ადგილებიდან სწერენ ჩვენი გაზეთის მკითხველები.

შემოსული სიგნალები მეტყველებენ იმის შესახებ, რომ მთელ რიგ სავაჭრო ორგანიზაციებში (საქვაჭრობა, მარცხენა და მარჯვენა სანაპიროს კვებვაჭრობა, სასადილოების ტრესტები, თბილუნივერმაღი, თბილმრეწვაჭრობა) ჯერ კიდევ სუსტად არის დაყენებული მუშაობა ვაჭრობის საქმის გაუმჯობესებისა და კულტურის ამაღლებისათვის. ჩვენი გაზეთის მკითხველი ქ. დიდებულიძე გვაცნობებს, რომ დედაქალაქის სტალინის, კიროვის, ორჯონიკიძის, მოლოტოვის რაიონების საკოლმეურნეო ბაზრებში განლაგებული ზოგიერთი მაღაზიის გაფორმება და ტექნიკური მოწყობილობა ვერ უპასუხებს საბჭოთა კულტურული ვაჭრობის მოთხოვნილებებს. არადამაკმაყოფილებლად არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, არ ხდება ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება.

არის საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის, სპეკულაციის ფაქტები. ჩვენი გაზეთის მკითხველი ნ. ჩხენკელი გვაცნობებს, რომ კიროვის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში სპეკულაციის შემთხვევებია.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების საინსპექტორო ჯგუფის უფროსი ქ. კურცხალია გვწერს:

„სამწუხაროდ, თბილისის ზოგიერთ მაღაზიაში ჯერ კიდევ ვხვდებით მომხმარებელთა წონა-ზომაში მოტყუების ფაქტებს. თბილპურვაჭრობის № 93 მაღაზიის გამგე-გამყიდველმა პ. ენუქიძემ მომხმარებელ ა. კრავჩენკოს (მცხოვრები დავითაშვილის ქუჩა № 5) 2 კილოგრამ პურზე 50 გრამი დააკლო. თბილპურვაჭრობის № 188 მაღაზიაში პურის გამყიდველად ამუშავებდნენ რ. მამედოვს, რომელიც შტატში ირიცხება როგორც მტვირთავი მუშა. მან მომხმარებელ რ. მაისურაძეს 50 გრამი პური დააკლო. ასეთი ფაქტები იშვიათი როდია".

იმის ფაქტებიც არის, რომ პურის საცხობები ცუდად გამომცხვარ პურს გზავნიან მაღაზიებში. წარმოების ხელმძღვანელები ამ დაუშვებელ ამბავს ზოგჯერ გულგრილად უყურებენ. ჩვენი გაზეთის მკითხველი რ. ლეჟავა გვწერს, რომ ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა პურის № 4 ქარხანაში (დირექტორი ამხ. სირაძე).

„შემოწმების დროს,—გვწერს ამხ. ლეჟავა,— ახლად გამომცხვარი პური უწესრიგოდ ეყარა ვაგონეტებზე; მაღაზიებში გამოუშრალ პურს გზავნიდნენ (მაგალითად, ასე გაგზავნეს თბილპურვაჭრობის № 28 მაღაზიაში). ქარხნის ლაბორატორიის გამგე ამხ. ბერიშვილმა უპასუხისმგებლოდ განგვიცხადა: პურის დასაწყობი ადგილი არ გვყოფნის და ამიტომ იძულებული ვართ გამოცხობის ხარისხს ნაკლები ყურადღება მივაქციოთო".

პურის ცხობის ხარისხს ყოველთვის არ იცავენ არც № 1 და 2 ქარხნებში. ქალაქ სამტრედიის პურის საცხობი ხშირად უშვებდა ცუდი ხარისხის პურს, რისთვისაც სამუშაოდან მოხსნეს საცხობის გამგე მ. ქართველიშვილი. საცხობის გამგედ დანიშნეს ვინმე ყაზარიანი, მალე იგი ნ. მიქელაძემ შესცვალა, მაგრამ ვერც ამან უშველა საქმეს. ეს უკანასკნელიც მალე გაათავისუფლეს.

ეს იმას მოწმობს, რომ ზოგჯერ ადგილობრივი ორგანიზაციები საჭირო ყურადღებას არ აქცევენ კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეს.

საჭიროა დაუყოვნებლივ აღმოვფხვრათ სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, კულტურულად მოვემსახუროთ მომხმარებელს.

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VII სესია

## 27 ოქტომბრის სხდომა

**ნიუ-იორკი,** 27 ოქტომბერი. (საქდესი). დღეს გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ახალი წევრების არჩევნები. მოხდა სამი ახალი კენჭისყრა ამ კენჭისყრის 10 ტურის დამატებით, რომელიც ასამბლეის 25 ოქტომბრის სხდომაზე გაიმართა. მხოლოდ მეცამეტე კენჭისყრის შედეგად ამერიკა-ინგლისის ბლოკის ზეგავლენით შეგროვებულ იქნა ხმის საჭირო რაოდენობა, რათა ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოში გაეყვანათ ტიტოს იუგოსლავიის წარმომადგენელი. დელეგაციების მესამედმა ხმა მისცა ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოში ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლის არჩევას.

ამის შემდეგ მოხდა მეურვეობის საბჭოს ორი წევრის არჩევნები ნაცვლად ერაყისა და სალვადორისა, რომლებსაც ვადა წელს უთავდებათ. ასამბლეამ მეურვეობის საბჭოში აირჩია სირია და ხელახლა აირჩია სალვადორი.

შემდეგ გენერალურმა ასამბლეამ განიხილა და დაადგინა—უშიშროების საბჭოს ყოველწლიური მოხსენება მიღებულ იქნას ცნობად.

## პოლიტიკური კომიტეტის 27 ოქტომბრის სხდომა

**ნიუ-იორკი,** 27 ოქტომბერი. (საქდესი). დღეს, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტი შეიკრიბა, რათა განეხილებინა კორეის საკითხის განხილვა, თავმჯდომარემ მუნიზმა გამოაცხადა, სიტყვა არავის მოუთხოვია. საბჭოთა დელეგაციამ აღნიშნა, რომ გამოსვლისათვის იგი მზად არ იქნება 29 ოქტომბრამდე. მუნიზმა მოუწოდა დელეგატებს ყოველი ღონე იხმარონ, რათა კამათისათვის რაც შეიძლება მალე მოემზადონ, და დახურა სხდომა. შემდეგი სხდომა დაინიშნა 29 ოქტომბერს დილით.

## სოციალურ, ჰუმანიტარულ და კულტურულ საკითხთა კომიტეტში

**ნიუ-იორკი,** 28 ოქტომბერი. (საქდესი). გენერალური ასამბლეის სოციალურ, ჰუმანიტარულ და კულტურულ საკითხთა კომიტეტი შეუდგა „ინფორმაციის თავისუფლების" საკითხის განხილვას, რომელიც ექვსი წლის მანძილზე არაერთხელ ყოფილა შეტანილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვადასხვა ორგანოს დღის წესრიგში.

გენერალური ასამბლეის მე-5 სესიის მიერ დანიშნულმა სპეციალურმა კომიტეტმა შეიმუშავა პროექტი „კონვენციისა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ", რომელიც, როგორც კამათმა ცხადყო, ბევრ დელეგაციას ვერ აკმაყოფილებს.

შეხნენ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებში ამ საკითხის მრავალი წლის განხილვის ისტორიას, მთელი რიგი ქვეყნების დელეგატებმა აღნიშნეს, რომ, მიუხედავად ასეთი ხანგრძლივი ვადისა, „ამ მუშაობის საბოლოო შედეგები ჯერ კიდევ არა ჩანს". საუდის არაბეთის, ეგვიპტის, ინდოეთის, ინდონეზიისა და პაკისტანის წარმომადგენლებმა მოითხოვეს ამ საკითხის განხილვა და გარკვეული გადაწყვეტილების მიღება გენერალური ასამბლეის მიმდინარე სესიაში. მათ შეიტანეს წინადადება არ გადაიდოს ამ საკითხის განხილვა კიდევ ერთი წლით, როგორც ამას ურჩევდა ასამბლეას ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი.

27 ოქტომბრის სხდომაზე გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი ა. ა. სობოლევი. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაციის აზრით ინფორმაციის თავისუფლების დარგში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამოცანაა შეიმუშაოს ღონისძიებანი და რეკომენდაციები, რომელთა მიზანია ხელი შეუწყონ კერძო სამამულო მონოპოლიების, ტრესტებისა და სინდიკატების ზეგავლენისა და დიქტატისაგან თავისუფალი და მართალი ინფორმაციის გავრცელებას, ინფორმაციისა, რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას და საერთაშორისო თანამშრომლობისა და სახელმწიფოთა მეგობრული ურთიერთობის განვითარებას.

ეს მით უფრო აუცილებელია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში და აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის მონაწილე მთელ რიგ სხვა ქვეყნებში არათუ გრძელდება, არამედ აგრეთვე სულ უფრო აღვირახსნილი ხდება ომის პროპაგანდა. ამერიკული გაზეთების უმრავლესობის ფურცლები, თქვა სობოლევმა, სავსეა გაბოროტებული, ცილისმწამებლური გამოხდომებით საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, სამხარო მოწოდებებით ამ ქვეყნების წინააღმდეგ.

საბჭოთა წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, რუმინეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოებმა მიიღეს მშვიდობის დაცვის კანონები, რომლებიც თვალისწინებენ მკაცრ სასჯელს ომის პროპაგანდისათვის. საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ომის პროპაგანდა, რა ფორმითაც უნდა წარმოებდეს იგი, ითვლება უმძიმეს დანაშაულად კაცობრიობის წინააღმდეგ.

სობოლევმა აღნიშნა, რომ სპეციალური კომიტეტის მიერ წარდგენილი პროექტი კონვენციისა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ოდნავაც არ შეესაბამება ამოცანებს, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე დასახულია ინფორმაციის თავისუფლების დარგში. უფრო მეტიც, ეს პროექტი მიზნად ისახავს გაუდვილოს უცხოეთის კაპიტალისტურ მონოპოლიებს, უცხოეთის პროპაგანდისტულ და მზვერავ ორგანოებს სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევა ძირგამომთხრელი პროპაგანდისა და ჯაშუშურ-დივერსიული საქმიანობის მოწყობის მიზნით. კონვენციის პროექტით ფაქტიურად ნებადართულია მშვიდობის საქმის წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა, ხალხთა შორის მტრობისა და სიძულვილის პროპაგანდა, ახალი ომისაკენ წაქეზება. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ამას ვერ შეურიგდება.

სსრ კავშირის დელეგაციამ, თქვა სობოლევმა, შემოაქვს თავისი შესწორებები კონვენციის პროექტისათვის. ამ შესწორებათა მეოხებით კონვენცია იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ძირითადი პრინციპების შესაბამისი და ამ ორგანიზაციის იარაღი მშვიდობისათვის, ახალი ომის მზადების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამასთან სსრ კავშირის დელეგაცია გენერალური ასამბლეის განსახილველად შემოაქვს შემდეგი პროექტი რეზოლუციისა:

„ხელმძღვანელობს რა გენერალური ასამბლეის 1947 წლის 3 ნოემბრის რეზოლუციით—„ღონისძიებანი, რომლებიც უნდა განხორციელდეს ახალი ომის პროპაგანდისა და გამჩაღებლების წინააღმდეგ", რითაც დაგმობილია ყოველი ფორმის პროპაგანდა, რომლის მიზანია მშვიდობისათვის საფრთხის შექმნა ან გაძლიერება;

აღნიშნავს რა, რომ მას შემდეგ, რაც გენერალურმა ასამბლეამ მიიღო აღნიშნული რეზოლუცია, ცალკეულ ქვეყნებში კიდევ უფრო გაძლიერდა ომის პროპაგანდა, ამასთან ასეთი პროპაგანდის გაძლიერებასთან ერთად ამ ქვეყნებში შემოღობილია ინფორმაციის თავისუფლების ახალი შეზღუდვები;

ამოცანად ისახავს რა წინააღმდეგს აგრესიისა და ომის ნაცისტურ, ფაშისტურ და ყოველგვარ სხვა პროპაგანდას, რომელსაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას მშვიდობას ან დაარღვიოს მშვიდობა, გენერალური ასამბლეა ურჩევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ყველა სახელმწიფოს განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, მათ შორის საკანონმდებლო ღონისძიებანი, იმ მიზნით, რომ:

1. უზრუნველყონ განხორციელება გენერალური ასამბლეის 1947 წლის 3 ნოემბრის რეზოლუციისა—„ღონისძიებანი, რომლებიც უნდა განხორციელდეს ახალი ომის პროპაგანდისა და გამჩაღებლების წინააღმდეგ";

2. არ დაუშვან ბეჭდვითი სიტყვის და რადიომაუწყებლობის, კინოსა და ინფორმაციის ყველა სხვა საშუალების, აგრეთვე მხატვრობის გამოყენება აგრესიისა და ომის რომელიც უნდა იყოს ფორმის პროპაგანდისათვის, ხალხთა შორის მტრობის გაღვივებისათვის, რასობრივი დისკრიმინაციისათვის, ცილისმწამებლური ხმების, ყალბი და დამახინჯებული ინფორმაციის გავრცელებისათვის;

3. ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი კერძო მონოპოლიების, ტრესტებისა და სინდიკატების დიქტატისაგან დამოუკიდებელი, მართალი და ობიექტური ინფორმაციის გავრცელებას, რომლის მიზანია ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნება და განმტკიცება, ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის განვითარება მშვიდობის განმტკიცების საქმეში, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული ხასიათის პრობლემების გადაჭრაში, აგრეთვე ხალხთა შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განმტკიცება და განვითარება სახელმწიფოთა თანასწორობისა და დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემის საფუძველზე".

კომიტეტის ამ სხდომაზე გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის დელეგატი. მან მოიყვანა მრავალი ფაქტი, რომელიც მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში და ატლანტიკის ბლოკის სხვა ქვეყნებში არღვევენ ინფორმაციის თავისუფლებას, რომ ამ ქვეყნებში ბეჭდვით სიტყვას და რადიოს იყენებენ ომისა და ხალხთა შორის მტრობის პროპაგანდისათვის. ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა სავსებით დაუჭირა მხარი სსრ კავშირის დელეგაციის მიერ შეტანილ რეზოლუციის პროექტს.

საერთო დისკუსია ინფორმაციის თავისუფლების საკითხზე გრძელდება.

# პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის არჩევნების შედეგები

**ვარშავა,** 28 ოქტომბერი. (საქდესი). გამოქვეყნდა სახელმწიფო საარჩევნო კომისიის ცნობა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის არჩევნების შედეგების შესახებ. არჩევნები 1952 წლის 26 ოქტომბერს მოეწყო.

ხმის უფლების მქონეთა საერთო რიცხვი 67-ვე საარჩევნო ოლქში იყო 16.305.891. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 15.495.815 ამომრჩეველმა, ანუ 95,03 პროცენტმა.

კანონიერად იქნა ცნობილი ამომრჩეველთა 15.491.170 ბიულეტენი, არაკანონიერად—4.645 ბიულეტენი.

ეროვნული ფრონტის კანდიდატებმა მიიღეს 15.459.849 ხმა, ანუ კანონიერად ცნობილი ხმების საერთო რაოდენობის 99,8 პროცენტი.

ჯარის ნაწილებში კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ხმის უფლების მქონეთა 99,9 პროცენტმა. ეროვნული ფრონტის კანდიდატებმა მიიღეს ხმების 99,97 პროცენტი.

სახელმწიფო საარჩევნო კომისია იუწყება, რომ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის 1952 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში დეპუტატობის ყველა კანდიდატმა და დეპუტატის მოადგილეთა კანდიდატებმა, რომლებიც შეტანილი იყვნენ ეროვნული ფრონტის სიაში, მიიღეს არჩევნების დებულების შესაბამისად საჭირო ხმის უმრავლესობა და არჩეული არიან პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის დეპუტატებად და დეპუტატის მოადგილეებად.

# კორეის ამბები

## სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი,** 28 ოქტომბერი. (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ განვლილი დღის მანძილზე სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან თანამოქმედებით დასავლეთ ფრონტის ცალკეულ უბნებზე გააფთრებულ თავდაცვით ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის წინააღმდეგ.

კორანფხორის რაიონში ამერიკელებმა სამი ბატალიონის ძალებით 14-ჯერ მიიტანეს გააფთრებული იერიში, მაგრამ ზარალი ნახეს და უკუგდებულ იქნენ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავთა გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 8 და დააზიანეს 5 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მშვიდობიან დასახლებულ რაიონებზე ბარბაროსულ თავდასხმებში.

# კორეაში საომარი მოქმედების შეწყვეტისათვის

**ოტავა,** 28 ოქტომბერი. (საქდესი). კანადის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ენდიკოტმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-7 სესიის თავმჯდომარეს პირსონს გაუგზავნა დეპეშა, რომლითაც მოუწოდებს გენერალურ ასამბლეას მიიღოს ღონისძიებანი, რათა დაუყოვნებლივ შეწყდეს საომარი მოქმედება კორეაში, განახლდეს მოლაპარაკება დაზავების შესახებ და წარმატებით დაგვირგვინდეს ეს მოლაპარაკება.

ენდიკოტმა აგრეთვე მიმართა წინადადებით კანადის პრემიერ-მინისტრს სენ-ლორანს, ყველა პარტიის ლიდერებსა და სხვა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებს მხარი დაუჭირონ მის მოწოდებას ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ კორეაში.

# საომარი მოქმედება ვიეტნამში

**შანხაი,** 28 ოქტომბერი. (საქდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, იუწყება რა ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე სახალხო არმიის ნაწილების წარმატებათა შესახებ, აღნიშნავს, რომ 23 ოქტომბერს სახალხო არმიის ჯარებმა გზა გადაუჭრეს მოწინააღმდეგის ბატალიონს, რომელიც კვან-ნიაის ფრანგთა საგუშაგო გარნიზონის დასახმარებლად მიდიოდა. მტრის ჯარისკაცთა დიდი ნაწილი მოსპეს, დანარჩენებმა უწესრიგოდ დაიხიეს უკან. განთავისუფლებულ იქნა მტრის მიერ დატყვევებული რამდენიმე მშვიდობიანი მცხოვრები, წამოღებულია ნადავლი.

# ალჟირის დოკერები ვიეტნამის ომის წინააღმდეგი არიან

**პარიზი,** 28 ოქტომბერი. (საქდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, ალჟირის დოკერებმა უარი განაცხადეს დატვირთონ საზღვაო ტრანსპორტი „ბრიანსონი", რომელიც ინდოჩინეთში უნდა წავიდეს.

# ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ჯან ხან-ფუს პროტესტი ინგლისის მთავრობისადმი

**პეკინი,** 28 ოქტომბერი. (საქდესი). სინხუას სააგენტო იუწყება:

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ჯან ხან-ფუმ გააკეთა განცხადება, რომელშიც იგი კვლავ მტკიცე პროტესტს გამოთქვამს იმის წინააღმდეგ, რომ ინგლისის მთავრობამ ხელთ იგდო ჩინეთის ეროვნული საავიაციო კომპანიისა და ჩინეთის ცენტრალური ავიასატრანსპორტო კომპანიის თვითმფრინავები, რომლებიც ჰონკონგში იყო. განცხადებაში ნათქვამია:

1952 წლის 8 ოქტომბერს ჰონკონგის ინგლისის უმაღლესმა სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ გამოიტანა „გადაწყვეტილება", რომელიც „აღიარებს", რომ ჰონკონგში არსებულ იმ 31 თვითმფრინავსა და სხვა ქონებაზე, რაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჩინეთის ეროვნულ საავიაციო კომპანიას ეკუთვნის, საკუთრების უფლება აქვს შეერთებული შტატების ჩინოლტის ეგრეთწოდებულ „სამოქალაქო ავიასატრანსპორტო კომპანიას". ეს კიდევ ერთი სამარცხვინო აქტია ინგლისის მთავრობის მიერ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მიტაცებისა მას შემდეგ, რაც ინგლისის საიდუმლო საბჭოს იურიდიულმა კომიტეტმა ლონდონში ამა წლის ივლისის დამლევს უკანონოდ გამოიტანა „გადაწყვეტილება" იმის შესახებ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური ავიასატრანსპორტო კომპანიის კუთვნილი 40 თვითმფრინავი და სხვა ქონება ჰონკონგში გადაეცეს ჩინოლტს.

უკანასკნელი 3 წლის მანძილზე ინგლისის მთავრობის მიერ ჩადენილი ამ მთელი რიგი უდიერსად არამეგობრული აქტების შესახებ, რაც იმით გამოიხატა, რომ ჰონკონგში წინასწარი განზრახვით ჩაიგდეს ხელში ზემოაღნიშნული სახელმწიფო ქონება, რომელიც ჩინეთის ეროვნულ საავიაციო კომპანიასა და ჩინეთის ცენტრალურ ავიასატრანსპორტო კომპანიას ეკუთვნის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურმა სახალხო მთავრობამ არაერთხელ განუცხადა ინგლისის მთავრობისათვის მტკიცე და სამართლიანი პროტესტი და აღუნიშნავს, რომ ინგლისის მთავრობამ უნდა იკისროს მთელი პასუხისმგებლობა ამ მოქმედებისათვის.

მაგრამ იმისათვის, რომ შეერთებულ შტატების გული მოეგო, ინგლისის მთავრობას ეყო თავხედობა მიემართა ახალი სამარცხვინო აქტისათვის და მიეტაცა ჰონკონგში ჩინეთის ეროვნული საავიაციო კომპანიისა და ჩინეთის ცენტრალური ავიასატრანსპორტო კომპანიის კუთვნილი სახელმწიფო ქონება. ჩინელ ხალხს არ შეუძლია არ იგრძნოს უდიდესი გულისწყრომა ინგლისის მთავრობის ამ აღმაშფოთებელი მოქმედების გამო, მთავრობისა, რომელსაც არაერთხელ გამოუხატავს აშკარად მტრული განწყობილება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ და აშკარად მიუმართავს პროვოკაციებისათვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ამიტომ ცენტრალური სახალხო მთავრობა ამით ერთხელ კიდევ უცხადებს ინგლისის მთავრობას მტკიცე პროტესტს და ადასტურებს იმ პოზიციას, რომელსაც იგი მუდამ იცავს, სახელდობრ, რომ ინგლისის მთავრობას აბსოლუტურად არა აქვს იურიდიული არავითარი უფლება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კუთვნილ ჩინეთის ეროვნული საავიაციო კომპანიისა და ცენტრალური ავიასატრანსპორტო კომპანიის ჰონკონგში არსებულ ქონებაზე, არავითარი უფლება არა აქვს აგრეთვე ხელყოს ეს ქონება, მიაყენოს მას ზარალი ან სხვას გადასცეს იგი. ცენტრალური სახალხო მთავრობა მოითხოვს, რომ ინგლისის მთავრობამ დაუყოვნებლივ მოუღოს ბოლო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სუვერენულ უფლებათა ხელყოფის უკანონო აქტებს და დაუყოვნებლივ დააბრუნოს ცენტრალური სახალხო მთავრობის რწმუნებული პერსონალის განკარგულებაში ყველა თვითმფრინავი და სხვა ქონება, რომელიც ჩინეთის ეროვნულ საავიაციო კომპანიასა და ჩინეთის ცენტრალურ ავიასატრანსპორტო კომპანიას ეკუთვნის და რომელიც მიტაცა ან რომლის მიტაცებასაც აპირებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ინგლისის მთავრობამ უნდა იკისროს პასუხისმგებლობა ყველა შედეგისათვის, რაც გამომდინარეობს აღნიშნული ქონების აშკარად მიტაცების პროვოკაციული აქტებიდან, რომლებიც მან ჩაიდინა.

# ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის წინ

## სრულიად ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს კომიტეტის ცნობა

**პეკინი,** 28 ოქტომბერი. (საქდესი). დღეს ცენტრალურმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს სრულიად ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს ცნობა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურთან დაკავშირებით, რომელიც ჩინეთში ეწყობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავის აღსანიშნავად.

7 ნოემბერს, ნათქვამია ცნობაში, სრულდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავი, რათა ღირსეულად აღვნიშნოთ ეს დიადი დღე, რომელმაც განსაზღვრა მთელი მსოფლიოს ხალხთა გამარჯვება, რათა უდიდესი წარმატებანი, რომლებიც საბჭოთა კავშირში მიღწეულია სოციალიზმის მშენებლობის საქმეში, მთელ ჩინელ ხალხს ზრდიდნენ სოციალიზმისა და კომუნიზმის სულისკვეთებით, რათა კიდევ უფრო ფართოდ განვავითაროთ და განვამტკიცოთ ორი ხალხის—სსრ კავშირისა და ჩინეთის ხალხების დიადი მეგობრობა და კავშირი, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ მიიღო გადაწყვეტილება 7 ნოემბრიდან 6 დეკემბრამდე მთელ ჩინეთში მოეწყოს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური. სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს ყველა პროვინციულმა, საქალაქო და სამაზრო კომიტეტმა ყველა ღონისძიებით უნდა გაუწიოს დახმარება საზოგადოებას ადგილობრივ განყოფილებებს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის მოწყობის საქმეში.

# საფრანგეთ-ამერიკის წინააღმდეგობანი

**პარიზი,** 26 ოქტომბერი. (საქდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს მიერ ბოლენიდან (ვოკლუზის დეპარტამენტი) მიღებული ცნობიდან ჩანს, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვენსან ორიოლმა გუშინ იქ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა დონზერ-მონდრაგონის კაშხლის გახსნის გამო.

მიმართა რა დიპლომატიური კორპუსის დამსწრე წარმომადგენლებს, ორიოლი ჩიოდა იმას, რომ „სხვებს ცუდად ესმით საფრანგეთის ფინანსური და სოციალური სიძნელეები".

ორიოლმა პასუხი გასცა ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატ ეიზენჰაუერის ანტიფრანგულ შეურაცხმყოფელ გამოხდომებზე და შეშფოთება გამოთქვა დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის გამო. გზადაგზა ორიოლმა აღნიშნა, ამერიკის მმართველ წრეებს საფუძველი არა აქვთ თავი მოსწონდეთ ეგრეთწოდებული „მარშალის გეგმის" მიხედვით თავიანთი დახმარებითო".

**ნიუ-იორკი,** 27 ოქტომბერი. (საქდესი). გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა" თვალსაჩინო ადგილას მოათავსა კალენდერის ცნობა პარიზიდან იმის შესახებ, რომ პრეზიდენტმა ორიოლმა თავის გამოსვლაში „მკვეთრად და პირდაპირ" გამოთქვა „საფრანგეთის უკმაყოფილება თავისი მოკავშირეების, ყველაზე მეტად შეერთებული შტატების გამო". „წინათ არასოდეს,—წერს გაზეთი,—საფრანგეთის ხელმძღვანელს ასე აშკარად არ ულაპარაკნია აღშფოთებაზე, რომელსაც საფრანგეთში განიცდიან, კრიტიკაზე საგარეო პოლიტიკის საკითხების გამო და დასავლეთ სახელმწიფოთა პოლიტიკის ზოგიერთ მხარეზე".

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი სულცბერგერი პარიზიდან გამოგზავნილ ცნობაში აღნიშნავს, რომ „ევროპის არმიის შექმნის პროექტს პოლიტიკური ჩაფუშვა მოელის საფრანგეთში", და აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის გამო უკმაყოფილება გაძლიერდა დასავლეთ ევროპის იმ პოლიტიკოსებს შორისაც კი, რომლებიც პროამერიკულად არიან განწყობილნი. იგი წერს: „ევროპის არმიის შექმნის გეგმის განხორციელების ახლანდელმა სიძნელეებმა ის გამოიწვია, რომ მთელი ყურადღება მიპყრობილია ამერიკის პოლიტიკისაკენ და იმათკენ, ვინც ამ პოლიტიკას მხარს უჭერს საზღვარგარეთ. ამ საკითხის კრიზისს შედეგად შეიძლება მოჰყვეს ნამდვილი კრიზისი კონტინენტისა და ამერიკის ურთიერთობის ძირითად საკითხებში".

რედაქტორი გ. მერკვილაძე.

# გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში უნგრეთის მთავრობის დელეგაციის ყოფნის გამო

**ბერლინი,** 27 ოქტომბერი. (საქდესი). დღეს საღამოს ბერლინში, სამინისტროების სახლში, უნგრეთის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად გაიმართა დარბაზობა. დარბაზობას დაესწრნენ უნგრეთის მთავრობის დელეგაციის წევრები უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მატიას რაკოშის მეთაურობით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ვილჰელმ პიკი, სახალხო პალატის თავმჯდომარე იოჰანეს დიკმანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრები პრემიერ-მინისტრ ოტო გროტევოლის მეთაურობით, დიპლომატიური კორპუსის წევრები, აგრეთვე გერმანიაში საბჭოთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ი. ფ. სემიჩასტნოვი და საბჭოთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარესთან მყოფი პოლიტიკური მრჩეველი ვ. ს. სემიონოვი.

**ბერლინი,** 28 ოქტომბერი. (საქდესი). გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მყოფმა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციამ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მატიას რაკოშის მეთაურობით დღეს ინახულა სახალხო საწარმო—ბერლინის კაბელის ქარხანა.

სტუმრებს თან ახლდათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ჰაინრიხ რაუ, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ბერლინის ორგანიზაციის პირველი მდივანი ჰანს ენდრეცკი, მანქანათმშენებლობის მინისტრი ჰერჰარდ ცილერი, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან აკრედიტებული უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დიპლომატიური მისიის თანამშრომლები.

ამასთან დაკავშირებით ქარხანაში გაიმართა მიტინგი, რომელიც გერმანია-უნგრეთის მეგობრობის დემონსტრაციად გადაიქცა.

# მდგომარეობა ვიეტნამში

## მიმოხილვა

უკვე შვიდი წელიწადია, რაც ვიეტნამის ხალხი გმირულ ბრძოლას ეწევა თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ფრანგმა იმპერიალისტებმა მის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყვანეს თავიანთი რჩეული ჯარები — დაახლოებით 300 ათასი კაცი და თავიანთი სამხედრო-საჰაერო ძალების დაახლოებით ერთი მესამედი. ამერიკის შეერთებული შტატები ფრანგების არმიას ამარაგებენ იარაღით, სამხარი მასალით, საჭურვლითა და საბრძოლო ტექნიკით, ამ დღეებში საიგონს ჩავიდა ამერიკის მეორასე გემი, რომელმაც იარაღი ჩაიტანა. მაგრამ იმპერიალისტები ვერ ახერხებენ თავისუფლებისმოყვარე ვიეტნამელი ხალხის წამოჩიოქებას.

ფრანგ კოლონიზატორებს დიდი ზარალი მოსდით ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. როგორც ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის კომუნიკეში იყო აღნიშნული, 1946 წლის დეკემბრიდან 1952 წლის ივნისამდე ამ არმიამ მოსპო მტრის 219.346 ჯარისკაცი და ოფიცერი. ვიეტნამის ტერიტორიის 90 პროცენტზე მეტს, რომლის მოსახლეობა დაახლოებით 20 მილიონია, ამჟამად კონტროლს უწევს ვიეტნამის დემოკრატიული მთავრობა.

გმირმა ვიეტნამელმა ხალხმა ომის უმაგალითოდ ძნელ პირობებში შეძლო შეექმნა საკუთარი სამხედრო მრეწველობა. ქვეყნის შიდა რაიონებში, ტყეებში მოწყობილია ახალი საწარმოები, რომლებიც იარაღსა და საომარ მასალებს ამზადებენ.

ოკუპანტებისათვის მეტად არახელსაყრელი ვითარება შეიქმნა ჩრდილოეთ ვიეტნამში. 1952 წლის თებერვალში სახალხო არმიის ნაწილებმა დაიკავეს მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი ხოა-ბინი (ხანოის სამხრეთ-დასავლეთით). ეს პუნქტი მდებარეობს კომუნიკაციებზე, რომლებიც ჩრდილოეთ ვიეტნამს ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებთან აკავშირებენ. ამავე დროს სახალხო არმიის ნაწილებმა გაათავისუფლეს 2.200 სოფელი.

ხოა-ბინთან გამარჯვების შემდეგ სახალხო არმიის ნაწილები ბრძოლებს ეწეოდნენ წითელი მდინარის" ველზე, ნინ-ბინის, ნამ-დინის, ტაი-ბინის, ფუ-ლის, ბაკ-ნინის, ვინ-ენის რაიონებში და ხანოის მისადგომებზე. მიმდინარე




წლის ზაფხულში სახალხო არმიის ნაწილებმა, რომლებიც ინარჩუნებენ ინიციატივას, მოიგერიეს მოწინააღმდეგის ყველა იერიში და ჩაფუშეს მისი გეგმები პარტიზანული ბაზების მოსპობისა წითელი მდინარის დელტაში.

მიმდინარე წლის ოქტომბრის შუა რიცხვებისათვის ჩრდილოეთ ვიეტნამში ფრანგთა სარდლობის ხელში რჩებოდა მხოლოდ ვიწრო ზოლი წითელი მდინარისა და შავი მდინარის ორივე ნაპირის გაყოლებით (ხოა-ბინის ჩრდილო-დასავლეთით, ლაი-ჩაუს ჩათვლით), აგრეთვე ხანოი, ხაიფონი და მონ-კეი, რომელთა გარშემოც ფრანგებმა მძლავრი თავდაცვითი სიმაგრეები შექმნეს.

ამ დღეებში სახალხო არმიის ნაწილებმა განავითარეს შეტევითი ოპერაციები ხანოის ჩრდილო-დასავლეთით და გაათავისუფლეს მოწინააღმდეგის მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი ნგია-ლო და ახალი ფართო რაიონი. ნგია-ლოს და ფუ-იანის რაიონებში (ჩრდილო-დასავლეთი ვიეტნამი) მათ გაანადგურეს ფრანგთა 12 ასეული, ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი და მრავალი ტყვე. ტყვეთა შორის არიან ნგია-ლოს ქვესექტორის მთელი მეთაურთა შემადგენლობა და ფუ-იანის რაიონის თითქმის ყველა მეთაური. სახალხო არმიის განუწყვეტელი შეტევის შედეგად ფრანგთა ჯარები კვლავ უკან იხევენ. ვან-ენის რაიონში სახალხო არმიის ნაწილები უკვე გავიდნენ შავ მდინარესთან და ამით გზა გაიხსნეს ვიეტნამის იმ რაიონებისაკენ, რომლებიც ყველაზე მდიდარია ბრინჯით.

24 ოქტომბერს საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ მოისმინა ეროვნული თავდაცვის მინისტრის პლევენის ინფორმაცია ფრანგთა საექსპედიციო კორპუსის დამარცხების შესახებ ჩრდილოეთ ვიეტნამში. პლევენი შეეცადა ეს დამარცხება აეხსნა... არახელსაყრელი ატმოსფერული პირობებით.

შემდეგ სიტყვით გამოსულმა კომუნისტმა დეპუტატმა ჟიოვონიმ ამხილა ამ „ახსნის" უსაფუძვლობა. ფრანგთა ჯარების დამარცხება უნდა აიხსნას მხოლოდ იმით, რომ ეს ომი ფრანგებს შორის პოპულარობით არ სარგებლობს. ფრანგი ხალხის მისწრაფებას, განაცხადა ჟიოვონიმ, შეესაბამება მხოლოდ ერთი გადაწყვეტილება—დაუყოვნებლივი ზავი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.

ვიეტნამში შექმნილი მდგომარეობა ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხები სულ უფრო მტკიცე წინააღმდეგობას უწევენ იმპერიალისტ დამპყრობლებს.

გენერალ-მაიორი ვ. მოსკოვსკი.

„პრავდა".

## საქართველოს რადიოგადაცემათა 31 ოქტომბრის პროგრამა

**რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:** 06.25 — ვალსები; 07.30 — სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა მუსიკის კონცერტი; 09.20 — ქართული ხალხური სიმღერები; 12.15 —სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 10.30—ნაწყვეტი ლეო ქიაჩელის რომანიდან „მთის კაცი"; 12.45 — კონცერტი ახალგაზრდა შემსრულებელთა მონაწილეობით. 17.15 — კამერული მუსიკის კონცერტი; 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. ჯაფარიძის მოთხრობა „მეგობრობა"; 19.20—კონცერტი რუს კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან; 19.45 — საუბარი.

**რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:** 20.00 — ბიზეს ოპერა „კარმენის" ტრანსლაცია თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრიდან; 00.05 — ქართული მუსიკის კონცერტი.

## დღეს თეატრებში

**რუსთაველის სახელობის** — სამშობლო; **მარჯანიშვილის სახელობის** — ანტონიოს და კლეოპატრა; **გრიბოედოვის სახელობის** — მშვენიერ სიცრუეთა დღე (აბონემენტი 49, 50); **სომხური დრამის** — ვაგიფი; **მუსიკალური კომედიის**—მეგობრები; **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—ჩვენი ადამიანები (აბონემენტი 19, 7 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — მისი მეგობრები (10 ს.); **სანიტარული კულტურის**—მე შენ მოგნახავ.


თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილების თანახმად, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების ვაკის აგურის ქარხანა ლიკვიდირებულია.

ლიკვიდაციასთან დაკავშირებით საწარმო-დაწესებულებათა, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების საყურადღებოდ ცხადდება, რომ ყოველგვარი პრეტენზიები წარმოდგენილ უნდა იქნას 1952 წლის 31 დეკემბრამდე სალიკვიდაციო კომისიაში, ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 40. ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ იქნება მიღებული.

**ოპერისა და ბალეტის თეატრი**

| | |
|---|---|
| 30 ოქტომბერს | 1. ა. ადამი—ჟიზელი 2. საკონცერტო განყოფილება |
| 31 ოქტომბერს | ჟ. ბიზე—კ ა რ მ ე ნ |

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ალექსანდრე, ცაცა, ციალა, თენგიზ ტოპეშაშვილები, ნადია, ლადო მაჭავარიანები, გრიშა, ოლღა თავბერიძეები იუწყებიან ქვისლის და სიძის **ზურაბ სანდროს-ძე ნიკოლაიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-XI სოფელ ქვედა ვანში (ვანის რაიონი).

შვილები ირაკლი, თამარ ოჯახით, რძალი ლილი, შვილიშვილები ელენე, გივი, ირაკლი იუწყებიან **ფეოდოსია ალექსანდრეს ასულ მახარაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-XI ქ. თელავში.

ვაკეთა მე-17 საშუალო სკოლის პედკოლექტივი იუწყება **ვარვარა ივანეს ასულ ხეჩუმაშვილის** გარდაცვალებას.

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თანამშრომლები იუწყებიან ვასილ **დარისპანის-ძე ფხაკაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 30-X, 5 ს. ჯანაშიას ქ. № 15.

მეუღლე ევგენია შვილებით, რძლებით, სიძეებით და შვილიშვილებით იუწყება **ევსეი პეტრეს-ძე არობელიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-XI სოფელ კახურში (მახარაძის რაიონი).

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან **ოლღა ჭანტურიშვილის** გარდაცვალებას.

საქსარეწტყეკავშირის მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან **სერგო ქრისტეფორეს-ძე გაჩეჩილაძის** გარდაცვალებას.

შვილი დიმიტრი, რძალი ლიუდმილა, შვილიშვილი თეიმურაზ იუწყებიან **ოლღა სტეფანეს ასულ ჭანტურიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-X. 5 ს. გერცენის ქ. № 6.



**რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი:** თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—8-08-67, ხამდივნოსი—8-06-88, **განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების—8-81-84, პროპაგანდის — 8-57-61, მრეწველობის—8-81-84, სოფლის მეურნეობის—8-57-61, საბჭოთა მშენებლობის, ადგილობრივი ინფორმაციისა და უცხოეთის ინფორმაციის—8-80-83, კულტურისა და ყოფაცხოვრების, კორესპონდენტთა ქსელის, საქმეთა მმართველობის—8-50-84, მშრომელთა წერილების—8-73-24, განცხადებების—8-51-81, გამომშვებების—8-81-65, გამომცემლობის დირექტორის—8-65-41, სტამბის დირექტორის—8-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05344